

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდგის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

შოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრფთ იყოს სიხარულათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

შოველთ ჩემდა ყოველნი მამულაჲნი და ტვირთ-ძიმენნი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

13332 № 12 1883—1903 30 ივნისი

## სწორეთ მშვენიერი და მისაბამებელი წეს-წყობილება.

ერსონის ეპარქიაში დიდი ხნიდან არის შემოღებული ერთი მშვენიერი წეს-წყობილება მღვდლად საკურთხი კანდიდატების გამორჩევის შესახებ; სწორეთ ფრიად სასურველია რომ ეს წესი ყველგან შემოიღონ. აი ეს წეს-წყობილება. როცა დაიცლება მღვდლის, მთავარიაკვის და მედავითნის ადგილი მაშინვე გამოაცხადებენ ეპარქიალურ გამოცემაში. გარდა ადგილის დაცლისა გამოაცხადებენ დაწვლილებით ცნობებს: რამდენი კომლი და სულია მრველი, რამდენი აქვს შემოსავალი მღვდელს მიახლოებით, ან რამდენია ჯამაგირი; არის თუ არა საკრებულო სახლი. ერთი სიტყვით ყოველივე ცნობა არის ეკლესიაზედ, მრველზედ და მღვდლის შემოსავალზე. მოიწოდებენ მთხოვნელებს გაზეთის საშუალებით.

ყველა გაიგებს და მთხოვნელები ყოველი კუთხიდან გამოზაგნიან თხოვნებს საჭირო საბუთებით. ოთხი-ექვსი თვის შემდეგ გაარჩევენ თხოვნებს და ადგილს აძლევენ იმას, რომელსაც უპირატესობა აქვს. წარმოიდგინეთ, რომ მთხოვნელები საჭიროდ არც-ც არცბენ კათედრის ქალაქში მოვიდნენ და წარუდგენ კონსისტორიის მდივანს ან ვისმე სხვას. არც ერთი მთხოვნელი უკმაყოფილო არ რჩება ამ ეპარქიაში ამ წეს-წყობილების წყალობით. რატომ არ უნდა იქნეს შემოღებული ჩვენშიაც ეს წეს-წყობილება, რომ მოსპოს კაცმა ამდენი უკმაყოფილების ბუზღუნნი სამღვდლო კანდიდატებთა შორის... მართალია ეს ზოგიერთ საეპარქიო კანცელარებში ფიცრის ნაჭერზე დააწერენ ხოლმე, რომ ეს-და-ეს მრველი დიაცალო, მაგრამ ეს ფიცარი კანცელარიაშივე კიდია და საიდან გაიგებს სამღვდლო კანდიდატი მიყრუებულ სოფელში მცხოვრები?..

დკჰ. დ. დამ—ტყ.

**მწარე ფიქრები.**

(გაგრძელება \*)

ბი ისეთნი იყვნენ, ჩვენო ძვირფასო მკითხველო, ქრისტეს დროის ფარისევლები, როგორათაც ავიწყრეთ წინა ნომერში. იგინი გარეგანი სიფაქიზით და სიწმიდით ჰფარავდნენ ღრმა გარყენილებას, საესეს უსამართლოებითა და მტაცებლობითა.

სამწუხაროდ არ ვხედავთ ჩვენ ეხლანდელი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ღმრთი საქციელში იმისთანავე ფარისევლურ მიმართულებას?

ხშირად ვხედავთ ჩვენ ეხლაც მრავალთა, რომელნიცა წარმოსთქვამენ მშვენიერთა, პატიოსანთა მკვლამეტყველურ სიტყვათა ან მისთვის, რომ მით დაფარონ საძაგელნი საქმენი, რომელნიც მათ ჩაუდენიათ, ან მისთვის, რომ კარგი სიტყვით მოიპოვონ რწმუნება მჩატე კქუის პირთა და წაართვან მათ მათი ქონება, პატიოსნება, ბედნიერება და საუკუნო ცხოვრება!..

როგორ ხშირად მიგვიზიდავენ ჩვენ კაცნი თავმდაბლობით და მორჩილების სახით და გარეგნად თავალ საჩინო კეთილი ცხოვრებით, როდესაც ნამდვირად და საქმიან-კი მტაცებელნი, მემრუშენი, ფიცხელნი და დაუზოგავნი არიან!..

ამისთანა კაცებმა აურ-დაურიეს კაცთა შეხედულება და ცოდნა: კეთილი მათთვის შეიქმნა ბოროტად, ხოლო ბოროტი—კეთილად. ღმერთი და მისი წმიდა ნება მათთვის საგმობი და სასაცინო შეიქმნა; უღვთობა და არა წმინდება—საქებარი საგანია მათთვის. საკუთრება მათთვის—სატაცებელია: მტაცებლობა მათთვის—თავის საკუთრების მოხმარებაა. პატიოსანი ქორწინება—გარყენილებაა; ნამდვილი გარყენილება—კანონიერი და ბუნებრივი ცხოვრებაა. უსირცხვილო პირ მოთნეობა ცდილობს, რომ დაანახოს ხალხს კეთილის მხრით უკეთულება.

როგორ უნდა ვებრძოლოთ ამისთანა საშიშარ ფარისევლებს? ყველანი უნდა ვეცადოთ აღვადგინოთ ჩვენშიაც და სხვაშიცა პატიოსნება, სიმართლე და წრფელი შიში ღვთისა... საჭიროა, რომ პატიოსანი და მაღალნი სიტყვანი პატიოსანი გულისაგან გამომდინარებდნენ და კეთილ საქმესთან იყვნენ

შეერთებულნი. უნდა ვეცადოთ, რომ გარეგანი კეთილი შეხედულება ეთანხმებოდეს კაცის შინაგან სულის მდგომარეობას, გამომხატველი იყოს შინაგანი ცხოვრებისა. უნდა ვეცადოთ, რომ გარეგანი კეთილ მსახურებრივი სახე გამომხატველი იყოს შინაგანი კეთილ მსახურებისა, ღვთის სიყვარულისა და მის წინაშე კრძაღვისა. უმთავრესად ჩვენი ყურადღება და ჩვენი შრომა უნდა იქმნეს მიქცეული ჩვენ კეთილ მიმართულებაზე, ჩვენი სულის განკეთილებაზე და მაშინ გამობრწყინდება იგი გარეგანად ჩვენს კეთილ გარეგან მოქმედებაშიაცა.

თუ ყველანი ამ გზას დავადგებით, თუ ყველანი ასე მოვიქცევით მაშინ ჩვენში განმტკიცდება კეთილ ზნეობა და ქეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოება, დამეზობა უსამართლოება და დამკვიდრდება სიმართლე და კაცთმოყვარება.

\* \*

არ არის დიდიხანი რაც ერთი მღვდლისაგან წერილი მივიღეთ. წერილი თავიდან ბოლომდის საესესა დამწერის საჩივრით, რომ იგი არ ეღირსა ჯილდოს, როდესაც მისი თანამოძმენი ყოველთვის ჯილდოვდებიან თავ-თავის დროს და, სამწუხაროდ მისსა, ისეთნი, რომელთა სამსახური უმცირესია.

დიად, არა ერთისაგან ისმის საჩივარი ჯილდოების შესახებ. ქეშმარიტად ფრანგის სამღვდლოება უმჯობესად იქცევა ამ შემოხვევაში. მათ არავითარი ჯილდო არ ეძლევათ და არავის არც ეხარბებიან და არც ეშურებიან. მართალია ველურ ხალხში, რომ ესცხოვრობდეთ მაშინ კიდევ იტყვის კაცი რომ მნიშვნელობა აქვს გარეგან ნიშნებს, მაგრამ ჩვენ ხალხში რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს გარეგან ნიშნებს? ერთი გარეგანი ნიშანი ჯვარი სწორეთ შესაფერია მღვდლისათვის და კიდევ აქვსთ ყველას განურჩევლად, ხოლო დანარჩენები-კი...

მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენში ნამეტნავად გავრცელებულია გარეგანი ნიშნების ტარების სურვილი და მით ყოყოჩობა...


საიდაც უნდა მიიხედ-მოიხედოთ დღეს ჩვენი ხალხის შეკრებილებაში მითლად აქრელებული არიან: ზოგს მხრებზე, ზოგს მკერდზე და ზოგს ქულებზე ყვითელი-წითლი ნიშნები აქვსთ დაკერებული ზოგი სირმით და ზოგი ყაითნით ნაკერი; ზოგს ჯინჯილები და ზოგიერთებს რკინებისაგან გაკეთებული რალა-ცაები აქვსთ ტანისამოსზედ მიკერებული. გიკვირს რომ უქცერი ყველა ამაებს!..

\*) იხ. „მწუკმსა“ № 11, 1903 წ.

ეს ნიშნები ხომ ყველას არ ეძლევა. ვისაც არა აქვს უფლება ამისთანა ნიშნების ტარებისა ისინი ხმლით, სატყვერით, რევოლვერით და სხვა რაღაცა ფოლაქებით იკობს თავს და მით ამპარტავენობს. უბედურება ის არის, რომ ამ ხმლებს, სატყვერებს და რევოლვერებს ხშირად ჩხუბის დროს ხმარობენ და თავიანთ მოძმეებს დღეს უმოკლებენ. თფილისის ქალაქში იარაღის ტარება მართებლობამ აუკრძალა ყველას. წარმოიდგინეთ ზოგიერთებს უთხოვიათ, რომ შნოს გ ულსათვის ხის ხანჯლების და ხმლების ტარების ნება მოგვეცითო. თუ ეს მართალია რაღა უნდა სთქვას კაცმა მათ განათლებაზე და კაცობაზე?..

სოფლის ხუცესი.

(გაგრძელება იქნება)



### იმპერატორის ნიკოლოზ -I მოკზაურობა საქართველოში.

ძველი დროის ხელმწიფის მოგზაურობის ამბები ისე საინტერესო არ არიან, როგორც იმპერატორის ნიკოლოზ პირველისა. საისტორიო მოამბეში არის შესანიშნავი მემუარები გრაფ ბენკენდორფისა იმპერატორის ნიკოლოზის მოგზაურობის შესახებ საქართველოში.

გრაფი ა. ქ. ბენკენდორფი, — რომელსაც იმპერატორის ნიკოლოზ I-ს ზეპირად ნაამბობი მემუარებში ჩაურთავს, — ტომით გერმანელი იყო, რიგაში დაბადებული. იმპერატორს ნიკოლოზს ძალიან უყვარდა და დანიშნა 1826 წ. ჟანდარმების შეფად, იმპერატორის უმთავრესის კონტორის და მის უდიდებულესობის საკუთარ კანცელარიის მე-III განყოფილების უფროსად. გრაფი ბენკენდორფი ყოველთვის მეცადინობდა, რომ მეფესა ჭ ხალხშორის მამაშვილური სიყვარული დაეარსებია ყველგან. ის არ გავდა სრულიად ზოგიერთ პირებს, რომელნიც ნაცვლად სიყვარულისა საზოგადოებაში თავიანთი საქციელით უთანხმოებას და მტრობას სთესავენ. ნებას ვაძლევთ ჩვენ-თავს გადმოვბეჭდოთ „ივერიიდან“ ამ მოგზაურობის ამბები. დარწმუნებული ვართ ყველა დიდის სიამოვნებით წაიკითხავს ამ

ამბებს და ცოტათ თუ ბევრად გაიცნობს იმპერატორის ნიკოლოზ პირველის დიდებულებას და კეთილ ფიქრებს ჩვენი კუთხის შესახებ:

იმპერატორი ნიკოლოზ I დიდად მოწყალე და კეთილ განწყობილი იყო არამც თუ მარტო ქართველებისადმი, არამედ თვით ველურ მთიულეებისადმიც. ეს სჩანს ინსტრუქციის სიტყვებიდან, რომელიც მან დაუტოვა გენ. ვენიამინოვს, მთიულეების უფროსს: „რუსეთის ინტერესებისათვის საჭიროა, რომ ეცადოს მთიულეთი აღერსით მოინადიროს და შეაკავშიროს ისინი რუსეთის სახელმწიფოს. ამისათვის ეს ველური ერი უნდა შეაჩვიოს წესიერებას, კანონებსა და განათლებას. ხოლო მუდმივი ომი მათთან და ბრძოლა უფრო გვაშორებს მათ და უფრო აძლიერებს ამ ერში ომის სურვილს და სისხლის ღვრას, რომელიც უიმისოდაც უყვართ. საჭიროა დაწესდეს სხვა-და-სხვა ადგილას სკოლები მთიულეების შვილებისათვის“. ხოლო, რომ იმპერატორი ნიკოლოზი მუდამ კეთილ-განწყობილი იყო ქართველებისადმი, ცხადად სჩანს, როგორც მის ალტაცებულ აღწერილობიდან ტფილისში დახვედრისა, აგრეთვე მუდმივ მის მზრუნველობიდან, რომ გავერცვლებინა სწავლა ქართველ-მოზარდთაობაში, და სხვა მრავალ ფაქტებიდანაც, სხვათა შორის აქ უნდა მოვიხსენოთ, როგორის სულგრძელობით მოეპყრა სხვა-და-სხვა „ХОТЯ Я НУДУ“ ების 1832 წ. შეთქმულებას და შემდეგში სრულიდაც აპატია მათ დანაშაულობა. 1848 წ. რუსეთის ყველა მაღალ სასწავლებლებში მან კავკასიის სტიპენდიები დანიშნა ახლად-დაარსებულ აღმოსავლეთის ფაკულტეტში განაწესა ქართული და სომხური ენის კათედრები და თვით სამეცნიერო აკადემიაში ქართულ სიტყვების და ისტორიის შესასწავლად მიუმატა ერთი წევრის ადგილი, ხოლო ყველა ჩვენს სტიპენდიანტს დაავალა ესწავლათ ქართული ენა — ქართველ პროფესორის ხელმძღვანელობით. სამწუხაროდ, ეს წესი შემდეგ, ესრედ წოდებულ ტოლსტოის სისტემის გაბატონების დროს, — მოისპო (იხ. „Грамоты и другіе историческіе документы, т. I. под редак. Чагарели და ამ წიგნის გარჩევა „მოამბეში“ 1894 წ.) მანვე დაარსა ტფილისში და ქუთაისში გიმნაზიები და დაწესა სამაზრო სასწავლებლები და დაიწყო კორპუსები ქართველ თავდაზნაურების შვილების გზავნა დასასრულ, თვით კავ-

კასიის ნამესტნიკათ დანიშნა თ. მიხ. ვორონცოვისა, რომელსაც რუსეთის სახელმწიფო კაცთა შორის მაშინ ტოლი არა ჰყავდა, ამტკიცებს ჩვენდამი მოწყალედ მზრუნველობას.

ბროსსე სწერს, რომ ერევნის აღებაში გენ. ბენკენდორფიც ერთაო, მაგრამ, ჩვენის აზრით, ის ალექსანდრეს ძმა, კონსტანტინე უნდა იყოს (ibidem), „*Видое и думы*“-ს ავტორი ხშირად იხსენიებს იმას. იმპერატორს სურდა თან წაეყვანა გრ. ა. ბენკენდორფი, მაგრამ გრაფი ავაჯ გახდა. გრაფი დალონებით ამბობს: „დიდად ვწუხნდი, რომ აღარ მომიხდა მის უდიდებულესობასთან საქართველოში ყოფნა, სადაც პირველად დავიწყე სამხედრო სამსახური. ვსწუხდი, რომ არ ვიახელი შეფერაინდს, რომელიც მხოლოდ თავის ძლევა-მოსილ მარჯვენით იცავს სამეფო ტახტებს და ერთა მშვიდობიანობასო“, — ხოლო ხელმწიფის დაბრუნების დროს გრაფი დახვდა მას მოსკოვს, სადაც „სასახლეში“ იმ დროს ძალზე შიშობდნენ ხელმწიფის შესახებ, რადგან იგი იყო კავკასიის იქით მხარეს და უნდა გარდამოველო მთები, სადაც სახლობდნენ ჩვენდამი მტრად გარდაკიდებულ მტხოვრებლები. მე კარგად ვიცნობდი მთიულების ზნე-ჩვეულებას, ვიცოდი, როგორის კრძალვით იხსენიებდნენ ისინი რუსეთის ხელმწიფის სახელს, — რომელსაც არაოდეს არ აბრალებდნენ ბოროტ-მოქმედების ჩადენას და არც მის მოსამსახურეების სიმკაცრეს, არამედ თავის მომავლის იმედს მარტო იმაზე აყარებდნენ. მუდამ ვამტკიცებ რომ იმპერატორის სიცოცხლე ამ ნახევრად ველურ ერთა შორის უფრო უშიშარ მდგომარეობაშია, ვინემ იქნებოდა ევროპის განათლებულ ქვეყნებში, სადაც დემაგოგიამ, ეს ნახევარი საუკუნეა, შეძლახა პატივისცემა გვირგვინოსნებისადმი. ჩემი წინასწარმეტყველება კიდევაც ასრულდა. 28 ოკტომბერს ხელმწიფე მშვიდობით მობრძანდა მოსკოვს“. აქ იმას, მეგვიდრეს და ჩერნიშოვს იმპერატორმა უამბო თავისი მიმოსვლა საქართველოში, „რომელიც ხელმწიფემ დალაგებით აგვიწერა და საოცარი მენსიერებაც გამოიჩინა: არც ერთი წვრილმანი ამბავი არ დაჰვიწყებოდა, როგორც-კი დაბრუნდი სასახლიდან, მოგვითხრობს ბენკენდორფი, იმ წამსვე დავეშურე აღმეწერა მისი ნაამბობი. მე, რასაკვირველია, შემოკლებით აღწერე შინაარსს ამ ნაამბობისას, რომელიც რვა საათს გაგრძელდა.

გრ. ბენკენდორფის მემუარებიდან ჩვენ ვსთარგმნეთ მხოლოდ ის, რაც შეეხებოდა ჩვენ, მხარეს და, რომ არ შეგვეწყვიტა შუა აღგილას ეს აღწერა, მთელი მოგზაურობა ამიერ-კავკასიაში გადმოვთარგმნეთ. ბოდიშს ვიხდით ამით გაზეთის მკითხველებსათვის ცოტა გაგრძელდა ეს ფრიალ შესანიშნავი აღწერა იმპერატორის ნიკოლოზ პავლეს ძის მოგზაურობისა. ჩვენი ლიტერატურა ერთობ ღარიბია ისტორიულ მასალებითა შემდეგ რუსეთთან შეერთებისა. შენიშვნები, გარდა ოთხისა, იმპერატორის ნიკოლოზის მიერ ფრანგულად მინაწერისა, ჩვენ გვეკუთნის.

აქ (ალუბკაში) ჩემი მეუღლე ვორონცოვისას დარჩა. მე და ჩემი შვილი იალტაში ხელახლად ჩავსხედით „ჩრდილოეთ ვარსკლავზედ“, რომელმაც წაგვიყვანა ჩვენ აზიის ნაპირისაკენ ქარი თანდათან ძლიერდებოდა და ლამის ქარიშხლად გარდაქცეულ იყო. საშინლად გვაქანებდა. 21 სექტემბერს, დილით, როგორც იქმნა, გელენჯიხის მივალწით. ციხიდან ღველიამინოვის ბანაკიდან მისასაღმებელად საიმპერატორო ფლაგისა იგრილა ზარბაზნებმა; მით აუწყეს ჩვენი მოსვლა კავკასიის მთებს, რომელნიც პირველად ხელვიდნენ რუსეთის მონარქს. ზღვა ისეთი აღელვებული იყო, რომ დიდის გაჭივრებით მოვახერხებთ ნავში ჩაჯდომამ და ნაპირზედ გასვლა; ხოლო მეორე ნავი, რომელსაც მოჰყავდა ჩვენი ამაღა, იძულებული შეიქნა — ორთქლმავალ გემით უკანვე გაბრუნებულიყო.

ჩვენ პირდაპირ გავსწით ბანაკისაკენ, სადაც შეიარაღებული ჯარი გვიცდიდა. მაგრამ გრივალი თანდათან ძლიერდებოდა და ისეთი ძალით მძვინვარებდა, რომ მხედრობა ფეხს ვერ იმაგრებდა და წამ-წამ ხან წინ ხან უკან იხევდა; დროები სამს და ოთხ კაცს ძლივს ეჭირა ხელში. თქვენც იცით, რა ღონიერი კაცი ვარ, მაგრამ ფეხზე ძლივს ვიდექი და განძრევა მიჭირდა. მაშასადამე, ცერემონიალ-მარშისათვის ვინღა იფიქრებდა; მიუხედავად ამისა, ჯარი მშვენივრად წარმომიდგინეს და მეც ძლიერ კმაყოფილი დავრჩი. ყველა ისინი ძველი მეომარნი იყვნენ და მათი ძველი მეომრობა იყო აღბეჭდილი მათსავე სახეზე, რომელიც გვარწმუნებდა რომ სავსებით შეიძლებოდა დანდობოდით. პირადად მე არასოდეს არც ერთ ჯარს არ მიუღივარ ასეთის აღტაცებით: სწორედ სტკებოდენ თავისი მეფის

ხილვით. თითქმის ყველა სტიქიონი წინა-აღვიცდვა: წყალი ჩანთქმას გვიქაღოდა, ბორიო საშინელ მძვინვარებით ჰქროდა; ამას დავმატა გელენჯიხში ცეცხლის გაჩენა.

ველიამინოვმა მაშინვე ცნენი გააქენა ცეცხლისაკენ ჩვენ იმას გაეყვიოთ. ცეცხლი მოჰკიდებოდა პროვიანტის მალაზიებს ღიქიდან მოსდებოდა თივას, რომელიც რამოდენსამე მილიან ფუთობით იქვე იდგა. ცეცხლის კვამლით სრულიად დაბურული იყო არტილერიის პარკი, რომელიც საფე იყო წამლით და გატენილ ყუმბარებით. ჩვენ დავდიოდით ამ კვამლში, ხოლო სალდათებმ. საკვირველის გულგრილობით ილაგებდნენ თავიანთ შინელებში ხასროლ მასალას.

მოგვშივდა, მაგრამ გრიგალმა დავვიმტვრია სამზარეულო და სადილიც მიგვიფანტ-მოგვიფანტა. საღამოზედ განვიზრახე ვემით დაბრუნება, მაგრამ ქარიშხლის გამო ეს სრულიად შეუძლებელი შეიქნა. ძალა-უნებურად უნდა დავრჩენილიყავით მშვიერი და დავვეცადა გახრეკილ ცივ სახლში, სანამ ქარი ჩადგებოდა.

მე წავედი „ლოშპიტლის“ დასახედავად და ვენერალ შტეინენის სანახავად, რომელიც მძიმედ დაიჭრა მთიულებთან ბრძოლის დროს. ვაი თუ დავკარგოთ ეს მამაცი აფიცერი.

ძლივს მგორე დღეს ნაშუადღევს ხუთ საათზედ მოვახერხეთ გადასვლა, გემზედ რომელიც აგრედვე დიდ განსაცდელში ყოფილიყო. მე მოხარული ვიყავი, რომ ყოველივე ეს ნახა ჩემმა შეილმაც, რომლის ქცევით ამ შემთხვევაში ძლიერ კმაყოფილი დავრჩი.

ღამის თერთმეტ საათზედ ჩაუშვით ღუზა ანაბის წინ და ოცდა ოთხ სექტემბერს შევედით ამ ციხეში, სადაც დავთვალიერე მეცობონენ ჯარი და ქსენონი. ნაშუადღევს ორ საათზე უკვე კერჩში ვიყავით. ეს ქალაქი დიდად სარგებლობს კაბოტაჟის გემების მიმოსვლით და შესანიშნავად იზრდება. წყლის პირად გაყვანილი ქუჩა მშვენიერია. მუდმივმა სიძველეების ძებნამ ბევრი შესანიშნავი საგნები აღმოაჩინა; მუზეუმი თანდათან იგება ღ რამდენიმე შესამჩნევი ნივთი პეტერბურგში იქნა გაგზავნილი, სხვათა შორის ერთ სამარხში ნანახი, მშვენიერად ნაკეთები ოქროს ნიღაბი, რომელიც ქალაქის სახეს წარმოადგენს.

კერჩში საშას გამოვეთხოვე. მან გასწია ალუპკას და შემდეგ უნდა დაესრულებინა თვისი მოგზაურობა რუსეთში, ხოლო მე „ჩრდილოეთ ვარსკლავზე“ ვავემართე რედუტკალესაკენ და მივალწიე 27 სექტემბერს. აქ დამხვდა მთავარ-მართებელი ბარონი როზენი.

რაოდენისამე ვერსის მანძილზედ ამ საძაგელ, კაობით გარშემორტყმულ და ხაშმიან დაბის წინ დამხვდა თავადი დადიანი, სამეგრელოს მთავარი დიდძალი ამალით. როგორც მისი, ისრე მის ამალის ჩაცმულობა სწორედ ახირებული იყო. გამოწყობილი იყო თავის ადგილობრივ ტანისამოსით და თავზე ჩვენი გენერლის შლიაპა ეხურა.

ღამის გასათევად ჩვენ მივედით ს. ზუგდიდს, სადაც ჩემთვის დავმზადებიათ იმავე თავადის დადიანის სასახლეში დიდი დარბაზი, რომელიც ღამაზ ფარდულებით საწოლ ოთახად და კაბინეტად გაეყოთ. ჩვენ მიგვიღო კნეინამ, მთავრის მეუღლემ, შესამჩნევად ახოვანმა და ტანადმა, რომლის ერთი შეხედვაც დაარწმუნებდა კაცს, რომ ის უნდა იყოს ნამდვილი გამგე და არა მისი შესახედავად ძაბუნი მეუღლე. კნეინამ ოსმალისთან უკანასკნელ ომში ჩვენ დიდი დახმარება აღმოგვიჩინა და შესაძლებელი იყო უიმისოდ შერყეულიყო რუსეთისადმი ერთგულება მისის ქმრისა, რომელსაც ოსმალები თავის ნაირ-ნაირ დაპირებით სცდილობდნენ მიემხროთ, ხოლო ზოგიერთი იმის კარის კაცებიც ამ ნაირვე ვერაგულ რჩევას აძლევდნენ. სამეგრელოს თავად-აზნაურობას ჩემთვის დავმზადებია საპატიო დარაჯი, რომელიც, როგორც ჩაცმულობით, აგრედვე სილამაზით შესანიშნავი იყო. უნდა ვღიაროთ, რომ ყველამ დამიიტკიცა დიდი ერთგულება და გულ-მოდგინება, რომელიც არ შეიძლება ცბიერი იყოს და დამხვდნენ გულ-კეთილ რუსულ „ურა“-თი.

მეორე დღეს მთავარმა დადიანმა მთელი თავისის ამალით გამაცილა და მიმყვა თავისს სამფლობელომდე, სადაც მიცდიდა იმერეთის მართველი თავადებით და აზნაურებით, რომელთაც ქუთაისში შეადგინეს ჩემთვის საპატიო დარაჯი მათი ნაირ-ნაირი ჩაცმულობა და ყოველივე, რაც აქ ჩემ თვალს წარმოუდგა, ისეთი რამ იყო, თითქო „ათას ერთ ღამის“ საარაკო ქვეყანაში ვარ-მეთქი.

20 სექტემბერს დილით ადრე წარმომიდგინეს იმერეთის ეპისკოპოსი სოფრონი, მიტროპოლიტი

დავითი და სხვა-და-სხვა მცირე ადგილობრივი მფლობელები; შემდეგ დავათვალიერე გოშპიტალი, სამაზრო სასწავლებელი და მე-10 ლინიის ჩერნომორსკი ბატალიონი. 10 საათზე გავემგზავრე ყველა ამ მცირე თავადების და აზნაურების თანხლებით, რომელთაც ქართლის საზღვრამდე მიმაცილეს.

„ღამე გავათიე მოლითის სტანციაზე, სადაც მიცდილენ ქართლის სამოქალაქო გუბერნატორი ჭეუბერნიის წინამძღოლი თავისს თავად-აზნაურობით და საპატიო ადგილობრივ მამასახლისებთან. მთელი გზა, რედუტ-კალედან მოყოლებული მოლითის სტანციაზე, — რომელიც წინად ცალფეხა გზად ითვლებოდა, — ახლა ბარონ როზენის მეცადინეობით ხელ-ახლად გარდაკეთებულია და ყველაფრით მოწყობილია ეტლების სასიარულოდ და ამ რიგად დაახლოვებულან ეს მომიჯნავე მხარენი, რომელთაც აქამომდე ურთიერთში არავითარი მიმოსვლა არა ჰქონდათ.

«30 სექტემბერს ჩვენ მივედით სურამს, ხოლო პირველ ოქტომბერს საღამოს 7 საათზე ახალციხეს, რომლის აღებით ასეთი სახელი მოიხვეჭა ჩვენმა პასკევიჩმა. „სტრაზნი ოკოპთან“ დამხვდენ ადგილობრივი ბევრები და აზრუმდინად გადმოსახლებული მამასახლისები. 2 ოქტომბერს დავათვალიერე ქალაქის დაწესებულებანი და მეჩეთი, გადაკეთებული მართლ-მადიდებელ ტაძრად და ღამის გასათევად ახალქალაქში წავიდით. 3 ოქტომბერს გუმბრში ვიყავით, სადაც ჩვეულებრივი საღამოთ მიმიღეს სომხების მამასახლისებმა, რომელნიც ყარსიდგან აქ გადმოხვეწილან. გამაკვირვა იმ დიდ-ძალ მუშაობამ, რომელიც დასჭირებია ასაგებად ამ ციხესა; ეს ციხე საქართველოსათვის შეიქნება ნამდვილ მოსაგერებელ ადგილად, საიდანაც ერთსა და იმავე დროს მოსახერხებელია ვემუქროთ ოსმალეთსა, და რომელთა საზღვარი აქ თითქმის ერთდება. ციხის მდებარეობა მიუღლომელ კლდეზე, რომელიც ზვიდან ოსმალეების სამფლობელოს დაჰყურებს, შეუღარებელია. ქვის შენობა სრულიად დასრულებულია იმავე მომჭირნეობით, რომელსაც ჩვენ დაჩვეული ვართ უკეთეს ჩვენი ციხეების აგებაზე და აქ უნდა სრული სიმართლით ვალიარო, რომ ძლიერ მომეწონა ბარონ როზენის და ინჟინერის მიერ ნაწარმოები მუშაობა სწრაფად ციხის აგებაზე და მშვენიერი, ამ ციხის გარეგანი მოხაზულობა, აგრედვე თითქმის დაუჯერებელია ხარჯის სიმცირეც.

(შემდეგი აქნება)

## ისტორიული აღწერა

მეტეხის ძველის ტაძრისა.\*)

მამის სიკვდილის შემდეგ, ვახტანგ გორგასლანი, როგორც ვიცით, დარჩა ხუთის წლისა და ამიტომ საქართველოს გამგეობა იკისრა მისმა დედამ. ვახტანგის მცირე წლოვანობით ისარგებლეს საქართველოს მტრებმა და ყველამ თითო კარგა მოზრდილი საზღვარი ჩამოაცალა მას; ხოლო ოსები იმ ზომამდის გაკადნიერდნენ, რომ ბალათარ ოსის წინამძღოლობით შემოესივნენ ქართლს, მოსტყვევნეს მთელი ეს — მხარე და თვით ვახტანგის დაცვი წაიყვანეს... ვახტანგი შეიქმნა 16-ის წლისა, როცა სხვები წლობით იზრდებოდნენ, ის თვეობით იზრდებოდა ღ დაჩაგრულნი ქართველნიც განუსახდგრელის სასოებით ელოდებოდნენ თავისი ბატონიშვილის სრულ დავაჟაკებას. ვახტანგმა დიდხანს აღარ აღოდინა ქართველები: ერთხელ, მცხეთაში ვახტანგი თამაშობდა ტოლებთან და ერთს მათგანს რაღაცაზედ უცებ სილა გააწნა ლოყაში. შეურაცყოფილმა უთხრა: „შენ რომ კარგი მეფის შვილი იყო და შეგეძლოს რამე, აი, შენი და რომ ვიღაც ოსის ლაპუსს (ბიქს) უზის ხასად, იმას უშველიდი რასმესო და არა ჩემზე გამოიჩენდი ძალასო!..“

ვახტანგმა მოისმინა რა ეს სიტყვები, ისე აირია, რომ ჟრუანტელმა მთელს ტანში დაუარა. ამხანაგებში სირცხვილით ხმა ვეღარ ამოიღო და გულ ნატკენი წავიდა სახლისაკენ. მივიდა დედასთან ჩაუღდა თავი მუხლებში და უთხრა: „დედი, მომეცი უკანასკნელად ძუძუ, მინდა სამუდამოდ გამოვეთხოვო ჩემს ყმაწვილობას და კაცობაში ფეხი შევსვაო. დედა ჯერ უარობდა, არ აძლევდა ძუძუს, მაგრამ ვახტანგი იმ დრომდინ არ მოეშვა მას, სანამ დედამ ძუძუ არ ჩაუღო შვილს პირში. ვახტანგი გაძლიებული სწევდა ძუძუს კბილებით და უთხრა: „მითხარ სად არის ჩემი და, თორემ სულ მოგაგლეჯე ძუძუს და მეც თავს მოვიკლავო!“ დედა შეჰკრთა, საიდან გაუგია ვახტანგს დის ამბავი, რომელსაც ის ასე უმალავდა შვილს, მაგრამ რაკი ვერა ღონისძიებით ვერ მოიშორა ვახტანგი, დედამ დაწვრილებით

\*) მეტეხის ტაძარი ჩვენ წინეთ გვექონდა აღწერილი. დღეს მოგვეყავს რამდენიმე სიტყვა დასამატებლად წინად დაწერილისა და ტაძრის და ხატის სურათი.

უამბო ყოველისფერი, თუ საიღამ და როგორ წაიყვანეს ოსებმა მისი და.


— შეილო! — დაიწყო დედამ: მამი-შენის სიკვდილის შემდეგ გაჰქრა ბედნიერება საქართველოსთვის და მწუხარება ნებას არ მაძლევს კველსფერზედ დაწვრილებით მოვიყვე... ოსებმა მეტის-მეტად შეაწუხეს ჩვენი ქვეყანა და რამდენჯერმე აფორიაქეს და მოსტყვევნეს კიდევ მთელი ქართლი. ბოლოს მოადგა წყეული და შეჩვენებული ბალათარი ჩვენს დედა-ქალაქს მცხეთას და მუქარით შემომითვალა: მომეც შენი ქალი ცოლად, თორემ სულ მიწასთან გაგასწორებ როგორც მცხეთას, ისე მთლად თქვენს ქვეყანასაო. ქართველები არას გზით არ თანხმდებოდენ შენის დის მიცემას, მაგრამ მე ერთის შეილის დაღუპვა ვარჩიე მთელის სამეფოს დაღუპვას და მივეცი შენი და მას ჩემის ნებით... ასე იყო, შეილო, საქმე და ახლა თუნდა გამკიცხე, თუნდა დამძრახე! მე, შეილო, შენს გამეფებამდისინ ვინახამდი ამ ამბავს საიდუმლოდ, და ახლა, რაკი შენც გაგიგია ეს ამბავი, შენი ციცი, ჩემო ნუკეშო, როგორ გადუხდი მაგიერს იმ წყეულ ბალათარს... ანაცვალე შენი თავი მამულს, მაგრამ ისე-კი, რომ შენის დის გულისათვის უარეს დღეში არ ჩაავდო საქართველოვო... ვახტანგმა გაუშვა ძუძუ და უთხრა დედას: „ცოცხალი რალად მინდა თავი, დედა, თუ ამისთანა მდგომარეობაში იქნება ჩემი სამეფო და თვით ჩემი და, რომლის არსებობა არც კი ვიცოდი აქამდისინ და რომელიც ვიდაც ბალათარს უზის ხასად! რისთვის ვარ დაბადებული, თუ ასეთს უბედურებას გულ-გრილად ავიტან?... არა დედი, მე უთუოდ ახლავე უნდა ვადავსწყვიტო საქართველოს და ჩემის დის ბედი... მშვიდობით, დედა, მე დღესვე შეუდგები ჩემს საქმეს...“

ვახტანგს, მართლაც, დიდს ხანს აღარ უფიქრია; გაგზავნა ჩუმად კაცი და დაბარა ეს სიტყვები: დღეს მე ბრძოლის ველს ვდგევარ ჩემის ერთგულის ქართველებით და მსურს წუწკ ბალათართან შეგმით ვადავსწყვიტო საქართველოს და შენი ბედი! ევედრე ღმერთს, დაო, ჩვენი შემწე იყოს უფალი!.. რამოდენიმე ხნის შემდეგ მოუვიდა ვახტანგს ვაგზავნილი კაცი ამ პასუხით: ძმაო, გაუფრთხილდი შენს სიყმაწვილეს! ნუ შეგებმი ბალათარს... იგი გამოცდილი შეომარია და ბევრი ძლიერი მტერი გამოუხალმებია ამ წუთი სოფლისთვის... მას ვერ იღებს ვერა ია-

რალი სასიკვდილოთ, რადგან აცვია რკინის ჯაჭვი (ჩაჩქანი)... ხოლო, თუ მაინც და მაინც, აღარ დაგიშლია და შენის გულის წადილს და განზრახვას თავს არ დაანებებ, იმას მაინც ეცადე, რომ მარჯვნივ იდლიაში მოახვედრო სასროლი, რადგანაც მას მხოლოდ იმ ადგილას აქვს ოფლისაგან გამოშვალნი ჯაჭვი და მხოლოდ ამ ადგილას მიუდგება მას იარაღი. მშვიდობით, ძმაო, ღმერთი იყოს შენი შემწე!..“


ვახტანგმა ამის შემდეგ დაუყონებლივ გაუგზავნა ბალათარს კაცი და გამოიწვია, იგი საომრად. ამაყმა ბალათარმა თავი ვეღარ შეიმაგრა სიცილისაგან და სთქვა: ხუთი წლის ბავშვთან უნდა ამოვილო იარაღი ამოდენა სისხლის დამღვრელმა ბრძოლის ველზედო? ბოლოს როდესაც დარწმუნდა, რომ აქ სიცილს ადგილი არა აქვს, შემოუთვალა ვახტანგს: „გამოდი და ბატონი ბრძანდებო!“

ვახტანგმა შეუთვალა: „შენ ვიდაც ოსის ჩიჩირა ხარ ჩემს სამეფოში და შენ, მე, საქართველოს კანონიერ მეფეს, მითვლი, რომ გამოვიდე და გიახლოვო?“ ბალათარს კანონიერად ეწვევა ვახტანგის ეს სიტყვები და ამიტომ თანხმობის ნიშნად შემოუთვალა: „მოვიდვარო!“ მოუყარა თავი ჯარს, მოვიდა და დადგა მდინარე მტკვრის მარცხნივ ეხლანდელ სოფელ მეტეხის პირ-და-პირ, სადაც იდგა—ვახტანგი თავის ჯარით, მტკვრის მარჯვნივ; ბალათარმა შემოუთვალა ვახტანგს: „აი მოველ შენთან საომრად და ფიცი მომეც, რომ წყალში არ მიღალატებო“. ვახტანგმა მისცა ფიცი. მაშინ თავმომწონე ბალათარმა სწრაფლ ჩაავდო ცხენი და გასწია ვახტანგისაკენ. ვახტანგი თვალს არ აშორებდა ბალათარს და შეამჩნია თუ არა, რომ შუა მდინარეში ბალათარი მარჯვენა ხელით ძალათ თავს უწევდა ცხენსა, რის გამო იდლიაც სრულიად უჩანდა, სტორცხნა ისარი და სასიკვდილოდ დაქრილი ბალათარი თვალის დახამხამებაში მისცა ადღევებულის მტკვრის ზვირთებას. ვახტანგი მყის ვადმოხტა ცხენიდან, მადლობა შესწირა უფალსა მტერზედ გამარჯვებისათვის და სთქვა: მე ესტეხე, უფალო, ფიცი, შემინდე შეცოდებანი ჩემნი და აღთქმას გაძლევ ოთხი ღვთის სახლი ადვავო შენის სახელის სადიდებლად ქართლის ოთხსავე მხარესაგო. ვახტანგმა მართლაც შეასრულა თავისი სიტყვა: როდესაც მან დაამარცხა საქართველოს ყველა მტრები და დაბრუნდა მცხეთას, იგი



მეტეხის ტაძარი





მეტეხის ღვთისმშობლის ხატი

დაუყონებლივ შეუდგა ოთხის დიდებულის ტაძრის აშენებას. ეს ტაძრები არიან: სამთავისისა, სიონისა, ერთა წმიდისა და მეტეხისა, სადაც გასტეხა მან ფიცი. აი ამ ფიცის ტეხიდან წარმოსდგა მეტეხის სახელიო, ამზობს ხალხი. მეტეხის ტაძარი შესანიშნავია თავისი ეგრედ წოდებულის ბეთლემის ღვთის მშობლის ხატით და სახარებით, რომლებიც სასწაულთ მოქმედებით პოენილ იქმნენ სიზმრით. 1886-ის წლის ეკენისთვეში ეს ხატი გამოცხადდა „სიზმარში სოფელ ჩოჩეთში“) მცხოვრებ პოლკოვნიკის საყვარელიძის ქვრივს, ნინო მიხეილის ასულს და უბრძანა აცნობოს მეტეხის მღვდელს, რომ საკურთხევის სამალავ ოთახში, ოთხის ქვევრში, ასვენია იგი წმინდა სახარებასთან ერთად ღ ამოიღეთ იქიდაშაო. ნინო საყვარელიძისამ გათენებისთანავე აცნობა ეს ამბავი მეტეხის მღვდელს ერთის მეტეხელის გლეხის პირითავე, რომელსაც დილა აღრიან შეშა მიჰქონდა თავის სახლში. მღვდელმა მაშინვე შეჰყარა მრევლი, მოიტანეს კიბე, ავიდნენ მოხსენებულს სამალავ ოთახში და იპოვეს: კედელში ჩატანებული ქვევრი, რომელშიაც მართლა აღმოჩნდა წმიდა ხატი ბეთლემის ღვთის მშობლისა და ეტრადზე დაწერილი ხუცური სახარება ვერცხლის პატარა ყუთში ჩადებული.

ს ი ტ ე შ ა,

რომელია ც ზნის 28-ს ექ. ი. ს. ბეზარგინს შვიდი მაესადმა ტირასპოლის რომის კათოლიკეთა ეპისკოპოსს ტფილისის საგურსეიდ.

თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობა!

მიხარის, რომ წილად მხვდა პატივი ტფილისის რომის კათოლიკეთა მიძინების ტაძრის მრევლის სახელით მივესალმო თქვენს მშვიდობით მობრძანებას ტფილისად, —სატახტო ქალაქად იმ ძველ, მრავალტანჯულ საქართველოისა, რომელიც მთელის ათასის წლის განმავლობაში აბჯარ-ასხმული გუშავად უდგა და თავ-განწირვით სდარაჯობდა ქრისტიანობას; დრამატიზმით აღსავსეა ის განუწყვეტელი სისხლის ღვრა და უღმობელი ბრძოლა, რომელსაც უწყევდნენ ძენი საქართველოისა ქრისტიანობის მტრებსა ქრისტე მაცხოვრის დიად აღთქმათა ასამაღლებლად და განსამტკიცებლად.

400 წელზედ მეტმა ხანმა განვლო, რაც საქართველოის უკანასკნელმა კათოლიკე ეპისკოპოსმა,

იტალიელმა ალბერტ-ანჯელომ აქაურობა მიატოვა და მას შემდეგ ჩვენი წინაპარნი, როგორც დღეს ჩვენა, რამდენსამე საუკუნის განმავლობაში მოკლებულნი ვიყავით უმაღლესს ზნეობრივ ნუგეშსა — გვყოლოდა და გვეხილა ჩვენს შორის ეპისკოპოსი —ეს მოადგილე სამოციქულო ეკკლესიისა. და, —დღეს კი, როდესაც გიხილეთ ჩვენს ძვირფასს სამშობლოში, ჩვენმა გულმა ძალზედ იწყო ცემა; თქვენდამი უმაღლესად რწმუნებულ ეპარქიის უძველეს მრევლის გული უდიდესის სიხარულითა და ნეტარებითაა აღსავსე.

ასეთ გრძობებით გამსჭვალულს ნება მიბოძეთ, თქვენო მეუფებავ, ქართველ-კათოლიკეთა —წმიდა რომის კათოლიკეთა ეკკლესიის ერთგულ ძეთა სახელით უგულითადესი მადლობა შემოგწიროთ აქ მობრძანებისათვის, რომლითაც სანეტარო და ცხოველ-მყოფელი ღღენი მონიჭეთ ყოველს ჩვენგანსა. („ივერია“).

ახალი მოკეთე ტანჯული კაცობრიობისა.

გაზ. „ყურნალი“ ერთს მეტად საყურადღებო და დიდ-მნიშვნელოვან ახალ ამბავს მოგვითხრობს.

საფრანგეთის ცნობილ ქიმიკოსსა და ბაქტერიოლოგს შამპანის, რომელიც წინად ბორდოს უნივერსიტეტს უმზადებდა პრეპარატებს და ესლა ქ. პერიგეს სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარედ და — მრავალი წლის კვლევა-ძიების შემდეგ აღმოუჩენია ათაშანგის (სიფილისის) საწინააღმდეგო შრატე, რომელიც თურმე სასწაულებრივ ჰმოქმედობს ამ საშინელ სენით შეპყრობილ სნეულეებაზედ. ბერ ექიმს უცდია ეს ღონის ძიება სხვ-და-სხვა მიმე, თითქმის უიმედო ავადმყოფებზედ. ყველანი, ვისთვისაც-კი მოუსწორათ ამ შრატის შემზაპუნება, სრულიად განკურნებულან. სხვათა შორის მოურჩენიათ ერთი ახალგაზდა ჯარის კაცი, რომელსაც კუნძულ ტაიტიზე შეჰყრია ეს საშინელი სენი. ამ კუნძულზედ ისეთი თვისებისაა ეს სენი, რომ თითქმის არავითარი წამლობა არა შევლის.

ბაქტერიოლოგი შამპანი ამ შრატს ათაშანგ აცროლ მაიმუნებიდან აზზადებს.

შამპანი ამ ახლო მომავალში დაწვრილებით მოხსენებებს წარუდგენს საფრანგეთის სამკურნალო აკადემიას იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოჰყვა მის მიერ აღმოჩენილ შრატის ხმარებას.

ბაქტერიოლოგ შამპანის მალე გაუვარდება ტანჯულ კაცობრიობის უდიდეს კეთილის მყოფელის სახელი, თუ მისი მოგონება მართლა ნამდვილი გამოდგა.

*სახელო ჰყუან*

**მომაკვდავის გოდება.**

მე უმადესი ხატება ქვეყნის,  
ზირველ ურჩობისაგან ვნებული;  
ცოდვისა შვილი—იმავ ცოდვისგან  
ვიქმენ დასჯილი, დამნებული.

მისვამო ჩემსედ წილხვედრი შრამა  
მე ქედს მისრიდა ამ ქვეყნაიერი;  
სული ამა ზრუნვით მიშეოთდა  
საამქვეყნის და ზედეური.

დაახ, ეს დიდი ცოდვის ბრალაა,  
ზირველ კაცთაგან ურჩობის ხვედრი,  
მეტ მისმეკვიდრეს—ამ მსოფლიო შვილს  
აღარა ამცდა მის სვე და ბედი!

ვემბეები რა მეუფის ნებას,  
ბუნების კანონს რაც არს ვალით.—  
საამქვეყნიოდ აწ არ მაქვს დღენი,  
მიწა—მიწად ვარ მამავალით.

მშვიდობით ურგავ დიდებს სოფლის  
დაუნდობელი და მოჩვენება!  
ამათ ზედა ამათებუ—  
ჩემი დათრუგვანა რისთვის გენება?

უნებლიეთი ურჩობა მცნების  
შენ შემაზანე ეს საკმობელი,  
არც რა მიმიძღვის წინ მდებარე გზას  
ტეშმარტების მანათობელი!..

დიდება იმას, მისს სულგრძელობას  
სიკვდილისაგან ვინც გვიხსნა მარად!  
ამა გრძნობებით დამშვიდებული  
შემტოდე შვილი მას ვვედრი კვალად...

თ. როსტომ—გუბა ჩიქოვანი.

**ქუჩრალ-გაზეთიებიდან.**

გაზეთებში მოხსენებულია, რომ დადგენილია სერბიაში 1888 წლის 22 დეკემბრის კონსტიტუციაო. კონსტიტუცია, ხალხის მართვა გაზეობა ევროპაში მრავალგვარია. ევროპის ხელმწიფეებმა სათათრეთსაც-კი დაატანეს ძალი და კონსტიტუციური მმართველობა მიადებინეს, მაგრამ სათათრეთის კონსტიტუცია სხვა კონსტიტუციას არ გაეს. 1888 წლის სერბიის კონსტიტუციით საკანონმდებლო უფლება ეკუთვნის მეფესა და ხალხის წარმომადგენლობას ერთად. აღმასრულებელი უფლება ეკუთვნის მეფეს, რომელსაც სისრულეში მოჰყავს ეს უფლება პასუხის მგებელ მინისტრების საშუალებით. მინისტრებს ნიშნავს და სცვლის მეფე. მეფე ნიშნავს ყველა თანამდებობის პირთ; იგი ჯარის მთავარსარდალია და სამეფოს წარმომადგენელი საერთაშორიო დამოკიდებულებაში; მეფე მოვალეა შეატყობინოს ხალხის წარმომადგენელთ, თუ რა შედეგი მოსდევს ხოლმე მის გარეშე პოლიტიკას; სკუპინის მორიგ თუ საგანგებო კრებას იწვევს მეფე; სკუპინის დამთხოვიც მეფე არის, მაგრამ იგი მოვალეა იარის თვის განმავლობაში დანიშნოს ახალი არჩევნები. მეფის ბრძანებას რომ ძალი ექმნეს, იგი უთუოდ სათანადო მინისტრისაგან უნდა იქმნეს ხელმოწერილი.

სკუპინა არის ხალხის წარმომადგენლობა. სკუპინა არის ჩვეულებრივი და დიდი. სკუპინა შესდგება ხალხისაგან არჩეულ დეპუტატებისაგან; არჩევანი ფარული და პირდაპირია. ჩვეულებრივი საკანონმდებლო ხანა სკუპინისა უდრის სამს წელს. სკუპინის გადაწყვეტილება რომ კანონიერი იქმნეს, საჭიროა ყველა დეპუტატების ნახევარის და კიდევ ერთის დეპუტატის დასწრება; თუ ხმები შუაზე გაიყო, წარმოდგენილი წინადადება უარყოფილად ითვლება.

კანონ-პროექტის განხილვა იწყება სკუპინაში მას შემდეგ, რაც სახელმწიფო საბჭომ განიხილა და თავისი აზრი გამოთქვა; მხოლოდ ხარჯთ-აღრიცხვა და ჩვეულებრივი საფინანსო პროექტები შედის პირდაპირ სკუპინაში განსახილველად. სკუპინის ნება-დაუბრუნებლად არ შეიძლება არც გამოქვეყნება და არც გამოცვლა; არც განმარტება რომელიმე კანონისა. ყველას აქვს უფლება წარმომადგინოს

სკუპინაში პეტრია ან საჩივარი. სკუპინის ნება დაურთველად ვერც ერთს დეპუტატს ვერ მისცემენ პასუხისგებაში, რაც უნდა დანაშაული მიუძღოდეს.

დიდ სკუპინაში ირჩევენ ორჯელ მეტ დეპუტატებს, ვიდრე ჩვეულებრივში. დიდი სკუპინა იკრიბება, როცა ვადსაწყვეტია ტახტის შემკვიდრობის კითხვა, დასანიშნავია რეგენტები, გამოსავლელი კონსტიტუციის რომელიმე მუხლი ან როცა მეფეს საჭიროდ მიაჩნია ითათბიროს დიდ სკუპინასთან.

მინისტრები პასუხის მგებლნი არიან მეფისა და სკუპინის წინაშე ყველა თავის მოქმედებაში თანამდებობის ასრულების დროს.

სახელმწიფო საბჭო შესდგება თექვსმეტის წევრისაგან; რვა წევრს ირჩევს მეფე იმ 16 კანდიდატთაგან, რომელთაც სკუპინა ირჩევს, და რვას — სკუპინა მეფისაგან წარმოდგენილ 16 კანდიდატთაგან. ამ გვარად არჩეული წევრი რჩება თავის თანამდებობაში სიკვდილამდე.

ყველა სერბი თანასწორია კანონის წინაშე. აკრძალულია მიცემა და მიღება აზნაურობისა და ტიტულებისა. თავისუფლება ყოველ მოქალაქისა უზრუნველ-ყოფილია კონსტიტუციით; თუ სასამართლოს დადგენილებით არა, ისე ვერც ერთს სერბს ვერ დაატუსაღებენ. კერძო სახლი ხელ-უხლებელია. გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც კანონში არის აღნიშნული, მთავრობის აგენტებს უფლება არა აქვთ კერძო სახლში შევიდნენ. სარწმუნოების საქმეში ყველა სრულებით თავისუფალია; სწავლების საქმეც აგრეთვე თავისუფალია; სერბებს უფლება აქვთ შეკრებისა უფარდოთ; ნება დართულია ასოციაციები, რომელთაც კანონის წინააღმდეგი მიზანი არა აქვთ; უცხოელ პოლიტიკურ დამნაშავეთა გაცემა აკრძალულია.

—ი ეს პატარა ხალხი ასეთ გამჭირაზობას იჩენს თავის შინაურ საქმეებში და სხვები-კი იძახიან ველური ხალხია!..

\*  
\* \*

ვილნოში გამოდის „ვილენსკი ვესტნიკ“-ი. ეს გაზეთი პატრიოტობით თავს იქებს. საქმიანად ხშირად ამტკიცებს პატრიოტობას: ყოველთვის წინააღმდეგია ადგილობრივ მკვიდრთა შორის სწავლა-განათლების გავრცელებისა. უმაღლეს სასწავლებლის დაარსებისა, ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს შემო-

ღებისა და სხვ. რუსეთის ზოგიერთ ადგილებში ლაპარაკი ჩამოვარდა საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ. ხსენებული გაზეთის აზრით, ამისათვის საჭირო არ არის არც სკოლების დაარსება და არც სხვა რამე.

ყველამ ვიცით, განაგრძობს გაზეთი, პეტრე დიდმა როგორ წასწია წინ რუსეთი და როგორ გაავრცელა განათლება: მეფემ წერა-კითხვის არ მცოდნე აზნაურებს აუკრძალა ცოლების შერთვა. დღეს ხალხმა წერა-კითხვა არ იცის. რა გვიშლის ეხლაც პეტრეს კეტი ვიხმაროთ სწავლა-განათლების გასავრცელებლად. პეტერბურგის იუბილეთის გამო შესაფერია ეხლა გამოიცეს მეფის ბრძანება: — აეკრძალოთ წერა-კითხვის არ მცოდნეთ ცოლის შერთვა და მაშინ განხორციელდება დიდის ხნის სურვილიო...

ეს ახირებული ამბავი მოგვაგონებს გნსვენებულის გაბრიელის დროს ერთ განკარგულებას ლოცვების სწავლის შესახებ. ბრძანება იყო გამოცემული: თუ მეფე-დედოფალი ზეპირად არ იტყოდა „მრწამს, ათ მცნებას“ და სხვა მოკლე ლოცვებს გვირვინის კურთხევა მათზე აღკრძალული იყო. რამდენი ბორცო-მოქმედება მოყვა ამ განკარგულებას, ვინ მოსთვლის, და ბოლოს ეს ბრძანება გააუქმეს. შემოხსენებული გაზეთის აზრი რომ გამართლდეს მაშინ გვირვინოსნება სულ მოისპობა და უკანონო კავშირი გავრცელდება, რომელიც ასე გავრცელებულია რუსეთში...

\*  
\* \*

„ნოვოე ვრემია“-ს პეტერბურგში ჩინელი ვაჭრები დაუნახავს და დიდ შიშს მისცემია; ჩინელები აპირობენ შემოსევას რუსეთშიო. არ გეგონოთ, ცეცხლით და მახვილით. არა, „ნოვ. ვრ.“-მ კარგად იცის, რომ თოფით ჩინელნი ვერაფერს გააწყობენ ისეთ ძლიერსა და კარგად შეიარაღებულ სახელმწიფოსთან, როგორც რუსეთია. გაზეთი სწუხს იმას, რომ ციმბირის რკინის გზის გამო ჩინელი ვაჭრები, ხელოსნები და მუშები ხელად მოედნენ ციმბირს და იქიდან თან-და-თან შიდა რუსეთისაკენ იწევენ. „ყვითელი საფრთხეა“, მაშ რა არის!

მართალია, ჯერჯერობით საშიში არაფერია, მაგრამ ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ჩინელნი მალე შემოგვესვებიან. ყველაზე მეტ დახმარებას ამ საქმეში ციმბირის გზა გაუწევთ, რომლის მეოხებითაც ჩვენ

ციმბირის კალონიზაციას ვფიქრობთ. აშკარაა, რომ ჩინელნი დაგვისწრობენ ციმბირის კალონიზაციას.

საოცარი ის არის, რომ ჩინელნი ხელად ეჩვენებოდნენ ახალ ხალხს, ზნე-ხასიათს და სხვას. ხსენებულ განხეთის მოწმობით, ჩინელნი ხუთის თვის განმავლობაში მშვენიერად სწავლობდნენ ენას. რუსები? ბევრი რუსი ჩინეთში 10—15 წელიწადს სცხოვრობს, მაგრამ ჩინური ენა მაინც არ იცის.

ჩინური ენა, ამბობენ ძნელია შესასწავლად და ალბად იმიტომ ვერ სწავლობდნენ. მაგრამ, გასაკვირველია რომ ჩვენში ოცი წლობით სცხოვრებენ და ერთი საგინებელი სიტყვას მეტს ვერ შეისწავლიან ხოლმე ზოგიერთები...

\* \*

„კვალს“ გაზ: „პრაგო“-დან მოჰყავს მ. პრუგავინის წერილი, რომელიც შეეხება რუსეთის მონასტრის საპრობილეებს; სადაც ამწყვედვენ მართლმადიდებლობიდან გადამდგარ სექტანტებს:

ტუსალები მონასტერში ჟანდარმებსა და პოლიციელებს მიჰყავთ და მამა არხიმანდრიტს გარდასცემენ ხოლმე, რომელიც მათ ხელწერილს აძლევს, ამა ამ დღეს ესა და ეს ტუსალი ჩავიზარეო. შემდეგ არხიმანდრიტის განკარგულებით გასჩხრევენ ტუსალს, გამოართმევენ ფულს, ნივთებს, საცვლებსა და ტანისამოსს და ცოტა რამეს დაუტოვებენ ხოლმე. ყველა ეს ნივთები მ. არხიმანდრიტს აბარა შესანახად. განსაკუთრებით სცდილობდნენ, რომ ტუსალს რაიმე საწერი ხელსამწყო არ ჩაუვარდეს სულში: ქაღალდი, კაღმები, მელანი და სხვა. აგრეთვე წიგნები. მ. პრუგავინს მოჰყავს მაგალითი, რომ სამონასტრო სატუსალოში დამწყვედეულ პატიმარს სახარებისა და ფსალმუნის კითხვაც აღუკრძალეს.

გაჩხრეკის შემდეგ ტუსალი სატუსალოში მიჰყავთ. სადაც პატარა განმარტოებულ სენაკში ამწყვედვენ. სენაკს ერთობ სქელი და ნოტიო კედლები აქვს; ერთი პაწია ფანჯარა აქვს რკინით მოაჯირიანი, მაგრამ ამ ფანჯარაში არაფერი იხედება, რადგან მის წინ სატუსალოს ქვის გაღვანია ამართული, სატუსალო ძველი, ნოტიო და ცივია ზაფხულის მზე ვერ გაათბობს ხოლმე ამ საპრობილეს, სადაც ადამიანები იტანჯებიან სიცივისაგან და სინესტისაგან. სენაკები მუდამ დაკეტილია, ზოგიერთ ტუსალებს აძლევენ ხოლმე ნებას კარიდორში ისეირნონ; პირველ ხანებში კი არც ერთ ტუსალს არ უშვებენ ოთახიდან.

მხოლოდ დღეში ერთხელ აღებენ კარს და ტუსალს შეუძლიან გაიტანოს გარედ კასრი, განაგლისათვის დანიშნული, რომელიც იმის ოთახში სდგას. საქმელს ტუსალს კარებში გამოჭრილ ფანჯარაში აწვდიან! ამავე ფანჯარაში იტყვიან გუშაგნი-ჯარის კაცი და ტუსალის ყოფა ქცევას ათვლიერებენ. ტუსალთა უმრავლესობა ღრმა მორწმუნე, მხურვალე ღვთისმოსავი ხალხია, იმათ სწყურიათ ლოცვა, რომელიც მათი უპირველესი მოთხოვნაა, მაგრამ ლოცვა იმ ღრმს, როცა კარის ფანჯარაში გუშაგი ვიცქერის ეკვის თვლით, ძნელია. ტუსალი ჩამოაფარებს ხოლმე რამეს კარის ფანჯარას და იწყებს ლოცვას. ამ ღრმს მძლავრად შეინძრევა კარები, მოისმის ლანძღვა, გუშაგის ყვირილი; ამ საათში გააღე კარები, უნდა დავინახო. ლოცულობ თუ კედელსა სთხრიო. ტუსალი იძულებულია აასრულოს სასტიკი ბრძანება და ლოცვას თავი დაანებოს.

### ახალი ამბები და შენიშვნები.

\* \* პროფესორი ა. ხახანაშვილი, რომლის ფრიად დიდი შრომა „Очерки по истории грузинской литературы“ სამს წიგნად უკვე დაიბეჭდა, შესდგომია მეოთხე წიგნის შემუშავებას, რომელშიაც ახალის მწერლობის ისტორია იქნება. ამისათვის ბ-ნი ხახანაშვილი, ჩვენის განხეთის შუამავლობით, სთხოვს ქართველ მწერლებს თავისი ბიოგრაფიული და მწერლობითი ცნობები მიაწოდონ. ვისაც-კი მოეპოვება ცნობები გარდაცვალებულთა მწერალთა შესახებ, კარგი იქნება ეს ცნობებიც გაუგზავნონ. მეტი არ იქნება მწერლებმა თავისი სურათებიც და ავტობიოგრაფიაც დაუმატონ აღნიშნულს ცნობებს. („ივერია“).

\* \* ახალციხიდან „ივერია“-ს სწერენ, რომ იქ დიდის ამბითა და სიხარულით მიუღიათ კათოლიკეთა ეპისკოპოზი ედუარდ როაზი. უდღეს ერთს გლახს სტეფანე გზირიშვილს ზეპირად მოუხსენებია მის ყოვლად-უსამღვდელოებასათვის რამდენიმე ლექსი შოთა რუსთაველის ვეფხვის-ტყაოსნიდან. ეპისკოპოსისათვის გადაუთარგმნიათ ეს ლექსები. მის მეუფებას დიდად სასიამოვნოდ დარჩენია ლექსების შინაარსი.

\* \* \* გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომ პირველ ივლისიდან ბათუმისა, ართვინისა და სოხუმის ოლქები ქუთაისის გუბერნიას ჩამოეცლება. პირველ ორს შეაერთებენ და შეადგენენ ერთ ოლქს, რომელსაც ეყოლება ცალკე გუბერნატორი. ერთის სიტყვით, სრულიად დამოუკიდებელი იქნება. რაც შეეხება სოხუმის ოლქს, იგი პირდაპირ კავკასიის მთავარ-მართველს დაემორჩილება. ბათუმში საქალაქო საკრებულო იქნება. ამ საკრებულომ უნდა დაამტკიცოს ქალაქის ყველა საქმეები და არჩევნები, გარდა ბათუმის ქალაქის მოურავისა, რომელიც მთავარ-მართველმა უნდა დაამტკიცოს.

\* \* \* „Финл. газ.“-ში დაბეჭდილია წესი, თუ როგორ უნდა იყიდებოდეს თოფი, რევოლვერები და სხვა მისი მოწყობილობა. ფინლიანდიაში არავითარი კანონი არ არსებობს, თუ რა გვარად უნდა ხდებოდეს თოფით ვაჭრობა. საომარ თოფის შემოტანა ფინლიანდიაში ამ დღიდან ადკრძალულია, რითაც ესპობათ საშუალება პოლიტიკურ ბოროტ-განმზრახველთ აამხედრონ ხალხი მთავრობის წინააღმდეგ. დღეს ფინლიანდიის ახალ-გაზღობა სწავლობს და ეჩვევა ნიშანში თოფის სროლას. მათი მეთაურები პოლიტიკური მოსაზრების მხრით საეჭვო კაცებია.

საქირო იყო, რომ ასეთ ახალ-გაზღობისათვის პოლიციას მიეჭია ყურადღება და შესაფერი ღონე ეხმარა მოსალოდნელი ამბოხების ჩასაქრობად.

\* \* \* შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაუგზავნა გუბერნატორებს განკარგულება, რომ სოფლის სასამართლოში ძველი გადაწყვეტილი საქმეები უნდა დაიწვას და განადგურდეს.

\* \* \* როგორც გზათა სამინისტროს მიერ შეკრებულ სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს. რუსეთის ყველა რკინის გზიდან 1902 წელს შემოსავალი ყოფილა 592,553,471 მან. წინა წელზე 18,586,899 მანეთი მეტი. პასაჟირთა რიცხვი ამავე წელს ყოფილა სულ 111,019,682. გადაუზიდნიათ ნივთები 7,669,806,000 ფუთი საქონელი.

\* \* \* შემოდგომიდან შემდეგი ახალი გაზეთები გამოვა პეტერბურგში: „Наши дни“, „Русская Земля“, „Русский Голосъ“, „Русь“, რომლის რედაქტორიც ა. ა. სუვორინია.

\* \* \* საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიის სტამბა შეუდგა ჩინურ ენაზედ წიგნის ბეჭდვას. პირვე-

ლად გამოვა რუსულ-ჩინური ლექსიკონი და 30 სხვა-და-სხვა წიგნაკები.

\* \* \* „ივერია“-ში ვკითხულობთ შემდეგ ახირებულ ამბავს: „ახალ ქართველ ბერთა სავანე ათონის მთაზე დიდად შევიწროებულა თურმე ბერძენთა ბერებისაგან, რომელთაც კარგა ხანია დაისაკუთრეს(!) ძველი ივერიის მონასტერი, გზასა და წყალსაც არ უთმობენ თავის მოძმეთ. ამიტომ ქართველთა სავანეს წარმომდგენელი (?) საჩივარი მიართვა აქაურ უწ. სინოდის კანტორასა და დახმერებასა სთხოვს. სინოდის კანტორამ განიხილა ძველი საბუთები, ქართველთა სავანეს თხოვნა სამართლიანადა სცნო და დაადგინა იშუამდგომლოს უწ. სინოდის წინაშე, რომ ათონის მონასტრის გამგენი შეღავათით მოეპყრან ქართველ ბერებს. ქართველთა სავანეს წარმომადგენელმა მამა ბენედიქტემ ამ დადგენილებს პირი უკვე მიიღო კანტორიდან“.

სწორედ საკვირველად მიგვაჩნია გაზეთის აზრი ამ ამბის შესახებ. ნუ თუ ეხლა ვაიგვს, რო ივერიის მონასტერი ბერძენებმა დაისაკუთრეს? მამა ბენედიქტე სრულებით არ ირიცხება ათონში და როგორ შეუძლია მას იქაური უღაბნოს წარმომადგენლობა. ათონის მონასტრის მფუღაბნოეთ თავის სამსჯავრო აქვს და არავის ისინი არ ემორჩილებიან. რომელ სასამართლოს და დაწესებულებას შეუძლია, რომ მათზედ გარდაწყვეტილობა მოახდინოს? რა უნდა გააკეთონ თუგინდ ასჯერ მიიღონ სხვა-და-სხვა დადგენილობათა პირები ივერიის მონასტრის შესახებ? ამისთანა „პირები“ შეძლებას აძლევს ზოგიერებს თავის ჯიბის სასარგებლოდ შეწირულება შეკრიბონ და სხვა არაფერი!.. ჩვენის ფიქრით ქართველთა ათონის სავანეს აქ წარმომადგენლად არავინ არა ყავს. ამისთანა გაზეთების ხმებით-კი საზოგადოება სტყუედება და გროშები ეკარგება. ჩვენს საზოგადოებას თუ სურს ვეკილი იყოლოს განა არ შეუძლია ვინმე საიმედო ვეკილი აირჩიოს?..

\* \* \* როგორც პოლონური გაზეთები გადმოგვცემენ, კათოლიკეთა ეპისკოპოსი ბარონ როპპი სარატოვადან ვილნოში გადაჰყავთ.

\* \* \* კავკასიის სამოსწავლო ოლქის მთავრობას, შუამდგომლობა აღუძრავს საერო განათლების სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ კავკასიის საშუალო სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულნი ყაზანის უნივერსიტეტში მიიღონ.

\* \* ქუთაისი სასგვა სტუდენტებით. პირველად გამიკვირდა ამ სტუდენტების სიმრავლე. ბოლოს შევიტყვე, რომ ამ სტუდენტებს არც ერთს ჯერეთ უნივერსიტეტი თვალითაც არ უნახავსთ. ეს სტუდენტები ყოფილან გიმნაზიის კურს დამთავრებულნი, რომელთაც სტუდენტის მუნდირები სამი თვის წინეთ შეუკერვინებიათ კურსის დასრულებამდისინ. აფსუსს, როგორ გამოიცივალა დრო და მოზარდი ნა-სწავლი ახალი თაობა!.. უფრო სამწუხარო სურათი წარმოგიდგებათ როცა ეს ყმაწვილები ერთად გოგობთან ერთნაირ საზიზღარ კილოს „მრავალ-ქამიერ“-ს გალობენ ზ ბოლოს დაამატებენ: „გაუქმარჯოს საქართველოს“...

\* \* მიწათ-მოქმედების სამინისტრომ შეიმუშავა და გამოსცა წესები, რომლის ძალითაც უნდა მოაწყონ რუსეთიდან გადმოსახლებულნი და, საზოგადოდ, სახელმწიფო მიწებზე დასახლების მსურველნი იმ სახელმწიფო მიწებზე, რომელიც მდებარეობს შემდეგ გუბერნიებში: ტფილისისა, ერევნისა, განჯისა და ბაქოში ზ აგრეთვე ქუთაისის გუბერნიის შემდეგ მაზრებში: შორაპნისა, რაქისა, ლეჩხუმისა, ზუგდიდისა, სენაკისა, ოზურგეთისა და ქუთაისისაში და სოხუმის ოლქში. სამინისტროს მიერ გამოცემული წესი არ შეეხება სოხუმის ოლქის ადგილობრივ მცხოვრებთ და უცხო ქვეყნიდან მოსულ კოლონი-სტებს. ზემოდ აღნიშნულ გუბერნიებში დასახლებულთა მოწყობა, სამინისტროს განკარგულებით, ევალება განსაკუთრებულ კომისიებს, საგუბერნიო საგლეხო და ახლად დასახლებულ საქმეთა საკრებუ-ლოებს.

\* \* მომრიგებელი შუამავლის თ. ა. მაჩაბელის წინადადებით, ნიგოზეთის საზოგადოებამ უნდა იყი-დოს სახლი აზ. ბარათაშვილისაგან, რომელშიც, თვითონ სდგავს. სკოლისათვის ცხრა ათას ზუთას მანეთად. ორი სოფელი წინააღმდეგია ამ სახლის ყიდვისა რადგან ამ შენობის გადაკეთებზე კადევ ბევრი დაეხარჯებათ ზ მასთან ეს სოფლებები მეტის მეტად დაშორებულნი იქნებიან სკოლას. დიდი ფული ეხარჯება საზოგადოებას სასკოლო შენობის სასყიდლად და ბოლოს უვარგისი აღმოჩნდება. საქირა სკოლისათვის შენობა საგანგებოდ ახალი აშენდეს. არც ერთი სახლი საცხოვრებლად აშენე-ლი სკოლისათვის არ გამოდგება. სახლი მამასახლი-სის მწერალს ეკუთვნება.



## სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობაშიე საჩქმუხობასა და კეთილ-ზნეობაზე.

საკვირველნი სასწაულნი, მოძხადნნი წმ. საიდუმლო ზიარების დროს.

წმ. მამა ბასილი დიდის ცხოვრებაში აღწერილია სხვათა შორის შემდეგი ამბავი: ვინმე კეთილ-მსახუ-რი მღვდელი სახელად ანასტასი ასრულებდა რა საღმრთო წირვას, სული წმიდის მოწოდების დროს, როდესაც დაასრულა მან ლოცვა: „უფალო! რომელ-მან ყდ წმიდა სული შენი ჟამსა მესამესა მოწაფეთა შენთა გარდამოუვლინენ და განანათლენ იგინი, მას სახაერო ნუ მიმიღებ ჩემგან, არამედ განმიახლე მა-ვედრებელსა შენსა“ და სხ. სული წმიდა გარდმო-ვიდა ცეცხლის სახედ და გარს შემოერტყა ღირს ანასტასის. ხილვა ესე იხილაო როგორც წმ. ბასილმა. აგრეთვე სხვათა ღირსთა მამათაც.

### II

ისტორიკოსი სოზომენი მოგვითხრობს: „წირ-ვის შემდგომ, როდესაც ღირსი მამა იოვანე ოქრო-პირი აზიარებდა ხალხსა, რაცხვთა შორის ეზიარა და მიიღო მისგან წმ. საიდუმლო ზიარება ერთმა ურწმუნო დედა-კაცმაც. ურწმუნო დედაკაცს წმიდა ნაწილი ქრისტეს ხორცისა ქვად ექცა პირში. გო-ცებული დედაკაცი ყველას უამბობდა ამ შემთხვევას და უზვენებდა პირიდგამ გამოღებულს ზ ქვად ქცე-ულ წმ. ნაწილსა. რომლის შემდგომ ურწმუნო იგი დედაკაცი შეუერთდა მართლმადიდებელ ეკლესიას წმ. საიდუმლო ნათლის ღებითა.

### III

ცარე-გრაღის პატრიარქის მინას დროს ვინმე ურჩის ყმაწვილთაგანი შეჰყვა რა ეკლესიაში თავის ტოლა ქრისტიანე ყმაწვილებს, ერთად მათთან მიიღო მანაც წმ. ზიარება. როდესაც ურჩის შვილი სახლში მივიდა ეს შემთხვევა უამბო მამასა. მამა ამ ყმაწვი-

ლისა იყო მეშუშე, რომელიც ამუშავებდა შუშის ქარხანას. გაბრაზებულმა მამამ წააგლო ხელი თავის შვილს და შთააგლო იგი აღგზნებულ ქურაში. დედამ არ იცოდა ეს ამბავი და სამი დღე ეძება შვილი. მესამე დღეს იგი თვალ-ცრემლიანი მიიჭრა ქმართან ქარხანაში და შესტირა შვილის დაკარგვის ამბავი მაგრამ, ოჰ, საკვირველებავ! გავარვალებულ ქურდიდან დედას მოესმა ხმა თავისი საყვარელი შვილისა. შეშინებული და თავზარდაცემული დედა მიიჭრა ქურდის კარებთან და დაინახა რომ შუა გულ ქურაში, აღვივებულ ნაკვერჩხლებზე უფლებლად ზის მისი შვილი და დუღუნებს, ვითარცა მტრადი. სიხარულით აღტაცებულმა დედამ შვილი საჩქაროდ გამოიყვანა ქურიდან და გულის ფანქაღლით შეეკითხა: „ვინ გიღალატა შვილო, ვინ ჩაიდგა ფეხი შენს საცოდაობაში? ან რათ სულ არ დაიწვი და დაიდაგე ცეცხლითა და ან რა სასწაულით გადაარჩი შვილო, ვაი შენს დედასა! შვილმა ყოველივე უამბო დედას და ამასთანავე უთხრა ისიც რომ, ის უსათუოდ დიწწოდა ქურაში თუ რომ ერთი ბრწყინვალედ მოსილი დედაკაცი არა, რომელიც აგრილებდა მას და თავის დროზე საზრდოსაც აწოდებდა. ეს საკვირველი ამბავი ელვოს უსწრაფესად მოედო მთელს ქალაქსა. თვით იმპერატორმა იუსტინემ გაიგო რა ეს ამბავი ძლიერ გაუკვირდა და ბრძანა მონათვლა ორივე დედა-შვილისა. ხოლო მამა ყმაწვილისა, რომელიც არ დათანხმდა მონათვლაზე მეფის ბრძანებით, იქნა შთაგდებულ აღგზნებულ ქურაში. ეს სასწაული ეუწყა მთელს ქვეყანას. ამის შესახებ სწერენ საეკლესიო ისტორიკოსნი: (ევეგნი, წიგ. 4. თავი XXXIV, ევსევი. წიგნი 4. თავი XXXV. და ნიკიფორე წიგნი 17, თავი XXV).

IV

ივანე მესხი თავის („Духовный луч“-ში) აგვიწერს შემდეგ საყურადღებო ამბავს: „პალესტინის ერთმა ურწმუნო მხედართ უმფროსთაგანმა სახელად გავიმერმა მოისურვა თავყვანისცემა უფლის საფლავისა და გაეშურა ეკლესიისაკენ. ეკლესიის ეზოში მას მოეჩვენა ერთი ვებერთელა ვერძი (ყოჩი) ვებერთელა რქებით, რომელიც მისწრაფის მისკენ სარქენად, დასაჯახებელად, რის გამო შეშინებული

გავიმერი უკანვე ბრუნდებო. ამ დროს იქავე მყოფი ჯვარის მცველი მღვდელი აზარია ეკითხება:

—ბატონო, თქვენ აკი ეკლესიაში აპირებდით შესვლას? რათ ინებეთ უკან დაბრუნება?

—მინდოდა მაგრამ; ვერა ხედავ ამ ვებერთელა ყოჩსა, რომელიც ჩემსკენ მოიწევს სარქენად? რათ გაგიშვათ ეკლესიის ეზოში ასეთი საშიშარი ცხვარი? აზარიას გაუკვირდა ასეთი უცნაური პასუხი გავიმერისა და უთხრა: „ბატონო შებრძანდით ეკლესიაში, ჩვენ აქ არავითარი საშიშო ცხვარი არ გვეყავს.“ —გავიმერი ისევ გაემართა ეკლესიისაკენ, მაგრამ, ეკლესიის კარებში მას ისევ ის საშიშო ვერძი მოეჩვენა და გამობრუნდა. გაოცებული აზარია კვლავ შეეკითხა გავიმერს: ბატონო ნუ თუ კიდევ ვერძი გიშლით ეკლესიაში შესვლას?

—მიშლის, შერჩოლება და რაქნა?

—რა მარტო თქვენ გეჩვენებთ ეს საშიშო ვერძი და სხვებს კი-არა?.. მაგრამ აქ სულ სხვა ამბავია, ალბად დიდი რამ ცოდვა ამძიმებს თქვენს სულსა?

—შეიძლება აგრეც იყოს. მე დიდი ცოდვილი ვარ წინაშე ღვთისა მრავლითა უსჯულებითა ჩემითა.

—ქრისტიანი ბრძანდებით თუ სხვა სჯულისა?

—მე კვრბთ მსახურივარ.

—გულით გსურსთ უფლის საფლავის თავყვანისცემა?

—ძლიერ გულით.

—თუ ასეა, მაშ ჯერ მოინათვლეთ, შემდეგ მიიღეთ წმ. საიდუმლო ზიარება და აღვისრულდებით საწადელი; უთხრა აზარიამ. ამის შემდგომ გავიმერმა დაუკონებლივ აასრულა ყოველივე აზარიას თქმული და დაუბრკოლებლად შევიდა ეკლესიაში და მოწიწებით თავყვანი სცა უფლის საფლავსა.

მლ. მიხეილ გავაშელიშვილი.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

**სალიტერატურო განყოფილება:** სწორეთ მშვენიერი და მისაბაძელი წეს-წყობილება, — დეკ. დ. ლამბაშიძისა. — მწარე ფიქრები — სოფლის ზუცისა. — იმპერატორის ნიკოლოზ I-ს მოგზაურობა საქართველოში. — ისტორიული აღწერა მეტეხის ძეგლი ტარისა. — **სიბრძნა**, რომლითაც აპრილის 23-ს ექ. ი. ს. ბეზირგანაშვილი მიესალმა ტირასპოლის რომის კათოლიკეთა ეპისკოპოსის ტფილისის სადგურზედ. — ახალი მოკეთე ტანჯული კაცობრიობისა. — მომაკვდავის გოდება (ლექსი) თ. როსტომ-გუბა ჩიქოვანის. — ჟურნალ-გაზეთებიდან. — ახალი ამბები და შენიშვნები.

**სწავლა და მშენიარება ძრისტიანობის საფუძნოებასა და კითხილ-წამოღებაზე:** საკვირველნი სასწაულნი, მომხდარნი წმ. საიდუმლო ზიარების დროს, მლ. მ. გ. — ლისა.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ლამბაშიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою Архимандритъ Георгій 27 юня 1903г.



ვრება მრავალ ბედნიერ წამებს, გვაძლევს და ჩვენი სიამოვნება აღემატება უსიამოვნებას. იფიქრეთ მხოლოდ რამდენ უმაღლეს სიამოვნებას გვაძლევს ძილი და გამოღვიძება, სიმაძღრე, ცულა შრომისა და შესვენებისა, ოცნებობა და სიზმრები, მოგონებანი და იმედები, დიოგენს ბოჩკაში, სნეულს, რომელიც მრავალ წელს ლოგინში ატარებს, — ერთის სიტყვით, ყველას შეუძლია თავს ბედნიერად გრძობდეს და მხიარული იყოს. ტურგენევი თავის „ცოცხალ ნაწილებში“ (живые мощи) მშვენიერად ასურათებს ავად-მყოფ დედა-კაცს: „მე არაფერი მინდა“, ეუბნება ლუკერია სტუმარსა: „მე, მადლობა ღმერთს, კმაყოფილი ვარ“.

ადამიანის ბედნიერებას, ამბობს შოპენჰაუერი, უარ-ყოფითი (отрицательный) ხასიათი აქვსო. შეიძლება ეს მართალი ყოფილიყოს, თუ მხედველობაში გვექნებოდა მხოლოდ ზოგიერთი სიკეთე და სიამოვნება: სისაღე არის არა ავადმყოფობა, სიმაძღრე — არა, სიმშლილი, მყუდროება — არა მოძრაობა და სხ. მაგრამ ისინი ამისგან განაჰკარგავენ რასმეს? პირიქით მათ ამით ფასი და მნიშვნელობა ემატებათ კიდევ. მაგ. 1813 წელს ნემენცები უფრო დიდად აფასებდნენ თავისუფლებას, ვინემ 1806 წელს. მხოლოდ ძნელი ავად-მყოფობის შემდეგ ამდგარს ადამიანს შეუძლიან შესაფერისად დააფასოს სისაღე, ჯანის სიმრთელე: რაც შეეხება შრომას, არავინ იტყვის, იგი უარ-ყოფითი ხასიათისა არისო.

გარდა ამისა, შოპენჰაუერი უარობს მნიშვნელობას გონებრივ სიკეთე სიამეთა. იგი (გონებრივი სიამოვნება) დაუშრომელი წყაროა ბედნიერებისა. თვით ჰესნიმისტი ფილოსოფოსი ყოველთვის დიდს სიამოვნებას გრძობდა ხელოვნებით, მწერლობით (ლიტერატურით) და მეცნიერებით მეცადინეობაში. იგი არავითარ სამსახურში არ იმყოფებოდა, მას არავითარი სავალდებულო სამუშაო არ ჰქონდა, მაგრამ მრავალი ბედნიერი წელი გაუტარებია გონების ვარჯიშობასა და მეცადინეობაში.

შემდეგ, შოპენჰაუერი არავითარ ფასს არ სდებს ძლიერს ძალას ფანტაზიისას, გამოხატულობითი (წარმოდგენილობითი) ნიჭის მოქმედებას, თუმცა, როგორც წინეთაც ვთქვით, იგი ილლიუზიად, გამოხატულობითი ნიჭის ნაყოფად აღიარებს სიკეთეს სიამეთა უმრავლესობას. ცხადია, ფანტაზიის წყალობით წარსულიცა და მომავალიც უფრო ვარკვე-

ვით და ნათლად გვესახება თვალწინ. უბედურების მოგონებაც ზოგჯერ სიამოვნო გრძობასაც ჰბადებს ჩვენში. „როდესაც ხიფათმა ჩაიარა, იგი სისიამოვნოთაც გვეჩვენებო“, ამბობს დიდი გიოტე. ფანტაზია, ყოველისფერს, რასაც იგი შეეხება, სისიამოვნო შარავანდელით ჰმოსავს. განა შოპენჰაუერისთვის უმაღლესს და უდიდეს ბედნიერებას არ შეადგენდა ის გარემოება, რომ იგი თავს გენიოსად და ასკეტად სთვლიდა?

შოპენჰაუერი ანგარიშში არ იღებდა, რამდენ ბედნიერებას აძლევენ ადამიანს მისი გრძობები, როგორც მაგ. სიყვარული. სიყვარული სიამოვნებაა, რომელსაც გრძობს ადამიანი სხვათა კეთილ-დღეობის ბედნიერების დანახვით. სიყვარული იმდენად მაღალი და უანგარო გრძობაა, რომ ადამიანს აძლევს თავის უარის ყოფას, სხვის საკეთილად მსხვერპლად შეწირვას. ამიტომაც შოპენჰაუერს ძლიერ შემცდარი წარმოდგენა აქვს ადამიანზე, როდესაც ამტკიცებს, რომ ყოველივე ქვეყნიერებაზე ხელ-მძღვანელობს მხოლოდ ქვიანური ეგოიზმითო. რა თქმა უნდა, თვით მოყვარეობა, ე. ი., ინსტიქტი თავის დაცვისა უმთავრესი ფაქტორია, უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა ადამიანის ცხოვრებისა; უამისოდ მისი არსებობა შეუძლებელი იქნებოდა; მაგრამ ეს გრძობა გაკიცხვის ღირსია, როდესაც აიძულებს ადამიანს დასთრგუნოს სხვები, ოღონდ-კი თავის მიზანს მიახწიოს, სურვილი შეისრულოს. ზოგი დედის სიყვარულსაც ეგოისტურ გრძობად სთვლას, ჩვენ-კი ეს მოქმედება დიდ ცოდვად მიგვაჩნია. დიდი ზრუნვა, შრომა და ჯაფა — სჭირდება დედას, როდესაც ბავშვი ჯერ ისევ უსუსურ მღვამარეობაშია.

„მისთვის, როგორც დედისთვის საჭიროა ყველა ის საკეთილო თვისებები, როდესაც ბალდი აძიძებს მას, ჯერ ისევ ავად-მყოფს, და მოითხოვს საზრდოს დასუსტებულისაგან; ამ სახით, ავად-მყოფობას ზედერთვის აგრეთვე ზრუნვა შვილის შესახებ“ (გიოტე) ხშირად შემდეგშიც, როდესაც ბავშვი წარმოიზრდება, დავაყვაცდება, იმას (დედას) წინანდებურად უყვარს თავისი შვილი მიუხედავად მისის შეცდომებისა, ცუდის მიმართულებისა, დაქვეითება-დაცემისა და ზოგჯერ წყენისა, რომელსაც ითმენს შვილისაგან დედის გული. „დედის გული — საუკეთესო, მარადის საიმედო და ფას-დაუდებელი საუნჯეა

შვილისთვის, მას არას ღროს არ ეკარგება თავისი ფასი და მნიშვნელობა, იგი ძვირფასია იმ ღროსაც კი, როდესაც ადამიანს თმაში ქალარა გამოერევა. ყოველ ჩვენგანს მხოლოდ ერთად-ერთი ასეთი საუნჯე მოეპოება" (შტიფტერი). პესიმისტი-ნატურალისტი იბსენიც კი ქება-დიდებას შეასხავს დედის მხრივ თავის უარ-ყოფას, შვილის გულისთვის თავის გამომეტებას. გაკონის დედას შვილის გულისთვის გახურებული რკინა მიაქვს; როდესაც შვილი ცრუ მეგობრების ჩაგონებით ითხოვს მას სახლიდან, დედა ამასაც ითმენს უსაყვედუროთ (без пошты). „პიერ გენტაში“-კი დედის სიყვარული შემცდარ გზაზე მდგომი ფანტაზიორისთვის ერთად-ერთი მტკიცე ნიადაგია, რომელი მას არა ჰლალატობს.

ნ. ე-ს.

(შემდეგი იქნება)

ელფია.

დრონი იცვალენ და ჩემს ობოლს სულს შეტად განეკლტო სიამოვნება,  
დრონი იცვალენ და მის ნაცვალში ვერ ისადგურებს წრფელი კანება.

დრონი იცვალენ, ჩემი ცხოვრება ამ უნდას დიას არ ემსება,  
და ამის გამოც ამა ცვლილებაში წილად მარტუნა მე დაღობება.

დრონი იცვალენ, ხეტარ-ზმანება ჩვეულებრივი თვალწინა ქრება,  
და წარმოდგენს მრავალ-ფერადი სასიხარულო არ შეფიქრება.

დრონი იცვალენ, და სავალადოდ სამარცხვინო კი საჩინად ხდება;  
ბელზებულისა ნაშობი — ნაყოფისა — ვინ ეურჩება, ვინ ერადება!

დრონი იცვალენ, ზნისა დაცემა, უთვისტომობა დღეს წინა დეება,

და მის მორეუში მოფარფაშენი შურს და მის სისხლს ეთაყვანება. *პ. ხიფია*

დრონი იცვალენ, დრონი იცვალენ,  
დაიდი მცნების კაგშირი წუდება;  
გნატრობ იმ ჟამს ოდეს ეს დროი გამოიხველება, ახლად იშვება!..

როსტომ — გუბა.

მოწყაენილის გოდება ჭ იმადიც.

მომეწყინა თავს ვერ ვირთობ,  
ესდენ ფიქრი მიგროვდება;  
ბრუ შეხვევა და გღონდება,  
ახრი აღარ მიცხოვდება.

საც კავარ, გამოვარ,  
მეუერება სულ კოდება;  
ახრა, უში, სულთ შექეში  
მწუნარების მოწოდება.

არც არს ტკბილი ის დიმილი,  
ნებიერც სულის შვება, —  
სანკერელი, სასურველი —  
დასწათი კემოვნება.

არც არს ღებება, ის მოვლენა  
წინა ჟამის ნეტრება;  
არ არს მური — ის ერთგული  
ხელ-ჩართული წინ წარება!

აღარ არის, აღარ, არა,  
ერთობილი განმტკიცება;  
ის საკმისობი და სცნობი  
სათვისტომო დიდი მცნება!..

\* \*

მაგრამ არა! ვერ წარმიგვეთს  
მე ეს ჟამი სასოებას,  
იმედი მაქვს კვლავ მივეგო  
სასურველი მე დროებას.

თუმცა დრომან მომწყინა,  
მუხლურა, მიმცა გნებას,

მაინც იგი ვერ შეიმრევს  
ჩემსა წმინტსა, შემცნებას...

მოგა დრო და თანაც მომგვრის  
ჩემს სანატრო გულის ნებას,—  
ერთობილი წინ სწრობილი  
მაღლს ვსწირავდე მე განგებას!

კვლავ მოღსენას და მოფლენას  
ტკილ-ღიმილით სულის შეგებას  
მიუვებები, განმიახლებს  
სასურველი გულის ნებას!...

როსტომ—გუბა.

**ღიმიტრი ნადირაძის (მაჩხანელის) დასაფლავება**

კვარას, 19 ღვინობისთვის, ქ. სიღნაღიდან მოკიდებული ს. მაჩხანამდე (7—8 ვერსია სიღნაღიდან ქვემო მაჩხანამდე) ბუზივით ირეოდა, ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და სქესისა, განურჩევლად. აქ შეხვდებოდით 80 წლოვან მოხუცსაცა და 5 წლის ყმაწვილსაც. ეს ამოდენა ხალხი მიეშურებოდა ღიმიტრი ნადირაშვილის ნაშუთის თაყვან-საცემლად; ყველანი ერთმანერთს შესტიროდნენ: „კაცო, ღიმიტრი ალა-რა გვყავს, ღიმიტრიო!“

ათი საათია და ღიმიტრის სადგურის ფართო ეზოში ტევა აღარ არის: მთელი ქიზიყი აქ შეგროვილია, აქ მოუყრია ყველას თავი. ყველას უნდა ღიმიტრის კუბოს დანახვა და დატირება; ყველა მისჩგრებია ღიმიტრის სახლის ზემო-სართულს, მაგრამ მიღეთ ხალხში რომელი ერთა ნახავდა ღიმიტრის გაცხვებულ გვახს. როგორც იყო, გაარღვიეს ხალხის ზღუდე და ჩამოასვენეს ღიმიტრი ეზოში. თან მოსდევდა გულ-დამწვარ-დათუთქელი ოთხმოც წელს გადაცილებული მოხუცი დედა. საწყალი გულ-საკლავად გაჰკიოდა ლოყებ დაფათრული. იმის ცოდვით ყველა იწოდა. დაიძრა მგალობელთა გუნდი და წაასვენეს მიცვალებული სამების ეკლესიაში აქ-კი გაიშალა ეს მოზღვაებული ხალხი ეკლესიის შვენიერ ვაკე და ფართო ეზოში. სამღვდლოება მრავლად იყო, რადგან ყველას უნდოდა მიცვალებულისადმი პატივისცემა დამეტკიცებინა.

წირვისა და წესის აგების შემდეგ წარმოსთქვეს სიტყვები მღ. ფ. კარბელაშვილმა; მ. ტყეშაშვილმა, დ. ჯანაშვილმა, სიღნაღის მაზრის სამრევლო სკოლების ზედამხედველმა მ. დ. იაშვილმა. ამით დაუხატეს იქ დამსწრე ქიზიყის ხალხს ღიმიტრის მოქმედება და ღვაწლი. მოხსენებულ სიტყვების გარდა, ერთმა გლეხთაგანმაცა სთქვა მოკლე სიტყვა. ამ სიტყვას აქვე მოვიყვან რადგან მოკლეა.

ამ გლეხმა ასე დაიწყო:

„საყვარელო და ძვირფასო ძმაო ღიმიტრი! მე რაღა გითხრა! გაქო? ვაი თუ მწარე ღიმილით შითხრა. რა შენი ქება მინდაო? ანუ შენი ღვაწლი და მოქმედება? ეს სომეხ პატრიარქის მამებთან ბრძანებს. მას შემოგწერე შენსავით, როგორც შენ შემოგწერე? არა, ღიმიტრი, მე არ შემოგწერები. მე მიუყვარდა, მიუყვარსარ და შეეყვარები იქამდის, სანამ არ გაცხვდება ეს ჩემი გული, როგორც დღეს შენი გულია გაცხვებული. ეხლა მე შენთან საქმე აღარა მაქვს, მე საქმე მაქვს ამ პატრიარქის საზოგადოებასთან: „ბატონებო, ეს ამოდენა ხალხი სქესის, სარწმუნოების და სწავლების განურჩევლად რამ შეგვკრებინა აქ? ღიმიტრიო, არა? გვიყვარს ღიმიტრი? „თუ არ გვიყვარდა და არა გვიყვარებოდა მას აქ რა გვიანდოდა, მიზანსუბუ. და, თუ-კი გვიყვარდა, როგორ ჩვენთვის დატოვებდა მშვიდ-მწყურვალ და ზოგჯერ გაჭირვებული და შიშველი, რატომ მამინ არ შეგვიყვარეთ და რათ შეგაჭრით ზურგი? არა უშავს-რა, შეუტედე და არავინ არის ამ ქვეყანაზე, და მადით, მოფინანთო ჩვენი შეტევა. შეტევაში მიუტევენ სულგრძელნი და ღიმიტრიც სომეხ სულგრძელია. გვამატიე, ძმაო ღიმიტრი, ჩვენი შეტევა!.. საუკუნოდ იუოს შენი სხეულებს!“

ღიმიტრის კუბოს ამკობდა მრავალი გვირგვინი, ხელოვნურად გაკეთებული, და ნედლი ყვავილებისა. (ივერია).

**ს. 3. კერსკი.**

(ნეკროლოგი)

პირველ ოკტომბერს დილის ხუთ საათზედ გარდაიცვალა უწმიდესი სინოდის კანცელარიის მართველი ს. გ. კერსკი. კერსკი თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურებოდა სსსუ-ს წოდებას. გარდაიცვალა 72 წლისა. კერსკი იყო მღვდლის შვილი ზენსენის გუბერნიიდან. განათლება მიიღო სემინარიაში და სემინარიის კურსის

გთავუბის შემდეგ კათავა ეახნის აკადემია. აკადემიის კურსის შესრულების შემდეგ დაინიშნა ღისოვსკის სასუ-  
 ლაირო სასწავლებლის ზედა-მხედველად, მერე წელს  
 1855 წ. დაინიშნა უმფროს მასწავლებლად და ებთის  
 მკაცრობის ხარისხი. 1858 წელს დაინიშნა ობერ-პრო-  
 კურორის კანცელარიაში და აქ მოქმედა უმაღლესი  
 თანამდებობის მისაღებად. 1867 წ. 8 დეკემბერს, 35  
 წლის შობიდან, იგი დაინიშნა სამასწავლებლო კომიტეტის  
 წევრად უწმიდეს სინოდთან და სშირად იგზავნებოდა  
 რევიზორად სასულიერო სემინარიაებში და სასოკადოდ  
 სასულიერო სასწავლებლების დასახედავად. 1873 წელს  
 იგი მთავიად თფილისის სასულიერო სემინარიაში რევი-  
 ზორად. ბევრი ცვლილება მოახდინა მან თფილისის  
 სემინარიაში. მის მოხსენებას დაე უურადლებას აქტუალენ  
 სინოდში. უნდა სიმართლე ვსთქვათ, ბევრ რამეში ხელი  
 შეუწყო თფილისის სემინარიას. კერძოს წყალობით იყო,  
 რომ თფილისის სემინარიაში დაიწეს მიღება გლეხის  
 შვილებისა; იმის აზგარიშის შედეგი იყო, რომ ზნსით-  
 ნერების რიცხვი გამრავლდა სემინარიაში. კანსვენებულო  
 კერსკი იყო დადი წინამდებეი უ-დ სამღვდელო იმერე-  
 თის ეპისკოპოსის გაბრეილას ქუთაისში სემინარიის  
 ხსენის შესახებ. ეველას კარგად ახლოვით გაბრეილის  
 ენერგიული მოხსენებანი და კრიტიკული განსილგანი  
 კერსკის ანგარიშისა, რომელიც უწმიდეს სინოდს  
 მიართვა მან. უწმიდესმა სინოდმა უ-დ სამღვდელო გა-  
 ბრეილის საფუძვლიანი მოხსენებით ბევრი მოსახრება  
 კერსკის უარყო და არ დაამტკიცა. მეტის-მეტად შეს-  
 ნიშნავია როგორც განსვენებულო ეპისკოპოსის გაბრეილის  
 ისე ს. გ. კერსკის ბიოგრაფიისათვის მიწერ-მოწერა ამ  
 უკანასკნელის რევიზიის ანგარიშების გამო.

1898 წელში უწმიდეს სინოდში ვნახეთ ს. გ.  
 კერსკი და აი სხვათა-შორის რა გვათხრა: „მართალია  
 ერთს დროს მე ძლიერ წინამდებეი ვივაუი ქუთაისში  
 სემინარიის დაარსების და სასოკადოდ იმერეთის ეპარქიის  
 ზოგაერთ მოხსენებათა შესახებ, მაგრამ ამის შემდეგ  
 ვცდებო, რომ ჩემის სამსახურით ეველათფერი აუნაზღა-  
 რო თუ ვისმე რამე დააკლდა ჩემით. მაგრამ სამწუხაროდ  
 ადარ დასცადა განსვენებულს...“

დკ. დ. დამბაშიძე.

### ახალი ამბები და შენიშვნები.

უმალესის დებულების ძალით შეიცვალა  
 წესი ეგზამენებისა დედათა ინსტიტუტებში, კურს  
 დამთავრებულთა დაჯილდოებისა დედათა საშუალო  
 სასწავლებლებში და კონფერენციების შესახებ.

\* \* კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა  
 განმარტა, რომ ამიერ კავკასიის დედათა ინსტიტუტ-  
 სა და საეპარქიო სასწავლებელში კურს დამთავრე-  
 ბულ ქალებს შეუძლიანთ საფთიქო შეგირდებად  
 გამწესდენ, უკეთუ მოწმობას წარადგენენ ლათინურ  
 ენის ცოდნისას, რასაც კლასიკურ გიმნაზიის  
 პირველ ოთხი კლასის პროგრამა მოითხოვს.  
 ვისაც მოხსენებულ სასწავლებლებში არ დაუმთავ-  
 რებია სწავლა და სურს აფთიქრის შეგირდად შევი-  
 დეს, უნდა ეგზამენი დაიჭიროს გიმნაზიის ოთხის  
 კლასის კურსის ცოდნისა, ბერძნულის ენის გარდა.  
 აფთიქრის შეგირდად შეიძლება შევიდეს აგრედვე  
 ის ქალიც, რომელსაც საშინავო მასწავლებლის  
 უფლება აქვს, უკეთუ ლათინურის ენის ცოდნის  
 მოწმობასაც წარადგენს. იმ დლიდან, როდესაც  
 შეგირდებად შეირიცხებიან, ორის წლის შემდეგ  
 შეუძლიანთ აფთიქრის თანამეწმობაზედ დაიჭირონ  
 ეგზამენი.

\* \* პეტერბურგის ბოგანო ხალხში სისწრაფით  
 ვრცელდება დანაშაულობა და წესიერების დარ-  
 ლევა. ამ ბოგანო ხალხს, ვერედ წოდებულს ქუ-  
 ჩის პროლეტარიატს, უმეტეს ნაწილად შეადგენენ  
 ხელოსანი, სახელოსნოების შეგირდები, უსაქმოდ  
 დარჩენილი მოსული მუშები და მათხოვრები. ამ  
 გარემოების დაუფიქრებია პეტერბურგის პოლიცია.  
 ქალაქის უფროსს შეუღმუშავებიაზომები იმ მიზეზის  
 მოსასპობად, რომელიც ხელს უწყობს დამნაშავე  
 ელემენტის გამრავლებას. სხვათა შორის, ახრად  
 აქვთ: დაარსონ განსაკუთრებული ინსპექცია,  
 რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს სახელოს-  
 ნოებს და პასუხის გებაში მისცეს სახელოსნოების  
 პატრონის შეგირდების სწავლებისა და შენახვა-მო-  
 ვლის შესახებ კანონის დარღვევისათვის, გააფართო-  
 ვონ არსებული მკირე-წლოვან დამნაშავეთა ახალ-  
 შენები და აავონ ქალაქ-გარედ ახალი თავშესა-  
 ფარები, სადაც სავალდებულო იქმნება ხელობის  
 შესწავლა, გამართონ მათხოვართა და პროფესიო-  
 ნალურ დამნაშავეთათვის სატუსალოს მაგივრად  
 შრომის სახლები სავალდებულო შრომით და გადა-  
 ეცეს მათხოვართათვის მზრუნველობის საქმე ქალა-  
 ქის თვითმმართველობასაც.

\* \* \* კამენცე-პოდოლსკის მომრიგებელ მოსამართლეს განუხილავს ერთი საინტერესო საქმე. გლეხის ქალს, გვარად კარჩისტაიას, განუცხადებია თავის სოფელელთათვის, ვითომ მას მინდორში ენახოს წმინდანი, თეთრის ტანისამოსით შემოსილი, ჯვრითა და წიგნით ხელში, რომელსაც უთქვამს, ჩამოველი ზეციდან თქვენდა გამოსახსნელად ცოდვებისაგან და ის ადგილი, რომელზედაც მე ვდგევარ, უნდა აკურთხოთო. სოფელელებს დაუჯერებიათ ეს ქორი. მღვდელიც საიპოვნებით შეამხანაგებია მეტორე ქალსა და დიდის ამბით უკურთხებია „წმიდა“ ადგილი. ჩქარა ხმა მოსდებია ახლო-მახლო მდებარე სოფლებსაც და აუარებელი ხალხი ფულითა და საჩუქრებით მისწყდომია ამ ადგილს თაყვანის საცემლად. მაგრამ საქმეში ჩარეულა პოლიცია, გამოუძიებია საქმე და პასუხის გებაში მიუცია კარჩისტაიას ქალი. სასამართლოში გამოარკვეულა, რომ ქალს არაფერიც არ უნახავს და წმინდანის ნახვა იმის ოცნების ნაყოფი ყოფილა.

\* \* \* ჩვენის ლონდონელ კორესპონდენტის წერილიდან გეცოდინებათ, რომ ჯონ მორლეიმ გლადსტონის ბიოგრაფია გამოსცა. გაზეთები იუწყებან: გლადსტონის ახალი ბიოგრაფია ინგლისელებმა სწორედ დაიტაცესო. პირველი გამოცემა — 125 ათასი ცალი წიგნი — 6 დღეში გაიყიდა. ჯერ წიგნი არ გამოსულიყო, რომ გამომცემლებს 50 ათასი ცალი გაყიდული ჰქონდა. რა დღესაც წიგნი გამოვიდა, გლადსტონის ბიოგრაფია 20 ვაგონით, წონით 80 ათასი კილო, ლონდონის სხვა-და-სხვა წიგნის მაღაზიებში გაგზავნეს. მორლეიმ შრომის ფასად 10 ათასი გირვ. სტერლინგი მიიღო; გამომცემელმა სულ 2,750,000 მანეთის წიგნი გაჰყიდა. ასე ჰყვარებიათ ინგლისელებს „დიდებული მოხუცი!“ („ივერია“)

\* \* \* ნოემბრის 4-ს მოსკოვში დაიწყება რუსეთის „თავდა-ახნაურთა საგუბერნიო წინამძღოლების კრება.“ კრებაში მონაწილეობის მისაღებად მიუწვევიათ ტფ. გუბერნიის მარშალიც თავ. დ. ზ. მელიქიშვილი.

\* \* \* ხმები ისმის სასულიერო წოდებაში ზოგიერთ მოსამსახურე პირთა ადგილების გაცვლისა.

\* \* \* საერო განათლების სამინისტრომ გამოსცა განკარგულება, საშუალო და სამოქალაქო ოთხკლასიან სასწავლებლის მასწავლებელთ მოუმატონ 20 პროცენტი არსებულ ჯამაგირისა.

**შურნალ-გაზეთივიდან.**

პირველად გაზეთი იაპონიაში 1871 წელს დაუარსებიათ. მას შემდეგ გაზეთების რიცხვმა სწრაფად იმატა და ესლა მარტო ტოკიოში გამოდის 20 ყოველ-დღიური გაზეთი, მთელ იაპონიაში-კი 300-ზე მეტი ყოველ-დღიური გაზეთია. ამას გარდა დიდძალი ყოველგვარი მიმოხილვა (შურნალი) გამოდის, ასე, რომ იაპონიაში სულ 2 ათასამდე პერიოდული გამოცემა იქნება. წელიწადში 100 მილიონამდე ფურცელი გამოდის. უმაჯრესი გაზეთები შემდეგია: „იეი-შიმბო“ („ახალი ამბები“) — თავისუფალ უნივერსიტეტის გაზეთია; „ტოკიო ნიშ-ნიში“ (დღე და დღე ტოკიოში) — მარკიზ იტოს პარტიის გაზეთია; „კოკუშინ შიმბუნ“ — დამოუკიდებელი გაზეთია, ყველაზე სერიოზული და პროგრესიული; „ნიპონ-შიმბუნ“ („იაპონია) — კონსერვატიული გაზეთია; „მაინიში“ („ყოველ დღიური“) — პროგრესიული გაზეთია, პროგრესისტების ცნობილ მეთაურს შიმიდა საბუროს ეკუთვნის; „იიპინ“-ი („ხალხი“) — გრაფ იტაგაკას ლიბერალურ პარტიის გაზეთია; „იომიური“ („მოამბე“) — დამოუკიდებელი გაზეთია, რადიკალებს თანაუგრძობს; „იოროზუ-შოშო“ („სატახტო ქალაქის ათი-ათასი ახალი ამბავი“) — უმაჯრესად სხვა-და-ბოროტ-მოქმედებს აჩენს, სკანდალებზე სწერს და სხვ. ამისთანებს ეტანება, ძლიერაა გავრცელებული უბრალო ხალხში. დანარჩენ გაზეთებში უფრო გავრცელებულია: „შოუო“ („ცენტრი“, „ჰოში“ („ახალი ამბები“), „შიიაკო“ („დღეა-ქალაქი“) და „იამატო“. ამ უკანასკნელ ორ გაზეთს, უმაჯრესად „გეიშები“ და „ყვავილის სახლების“ მუშტარი ჰკითხულობს. პროვინციალურ გაზეთებში ყველაზე ძლიერ „გავრცელებულია გაზ. „ასაჰი“ („მომავალი მზე“) — ოსაკაში გამოდის. იაპონელები ევროპულ ენებზეც სცემენ გაზეთებს. ამ გაზეთებში ყველას „ჯუვენ მიელ“-ის ჯობს. — ეს გაზეთი ინგლისურ ენაზე გამოდის. იაპონური მიმოხილვები ყველა საგანზე ჰბეჭდვენ წერილებს. ყველაზე მეტად მიმოხილვა „ტაიგო-ნ“ („მზე“) გავრცელებული. ქალებს თავიანთი საკუთარი გაზეთი აქვთ „ონა ნო ტომ“, მუშებს კიდევ — „როდო-სეკაი“; მრეწველობისა, შინა-და-მოქმედებისა და ტენიკის ყოველ დარგს თავისი საკუთარი ფურცელი აქვს. იაპონური პრესის თავისუფლად სწერს ყოველს საგანზე.



# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზღვრებსა და კეთილზნობაზე.

ს ი ბ შ ვ ა,

წმიდათა დიდთა მწაჟმეთა ანგელოზთა მთავართა დავით და კონსტანტინეს დღეს.

მართალი ვითარცა ფინიკი აღყვავნეს, და ვითარცა ნაძვი ლიბანისა განზრავლდეს. (ფსალ. 91, 13).

შორეული ქვეყნის ბუნებიდანაა, ძვირფასნო მსმენელნო, აღებული—მოყვანილი შედარება. ფინიკი და ნაძვი ლიბანისა შეადგენენ იმ ქვეყნის მშვენიერებას, რომელსაც სახელად ეწოდება ურიასტანი, აღთქმის ქვეყანა, რომელიც ოდესმე ეპყრათ ურიათა დიდებულ მეფეთ დავით და სოლომონს, რომელიც ცნობილია ყველასათვის, როგორც ქვეყნიერების გამოხსნისათვის განხორციელებული მესო მაცხოვრის სამშობლო. მომხიბლავს, თვალთ-მიმზიდველს და დიდებულ სურათს წარმოადგენს როგორც ფინიკი, ისე ნაძვი ლიბანისა. კელაპტარივით სწორი, ოც-და-თხუთმეტ აღლის სიმაღლეზე აბჯენილი, უშველებელი სისქის ხე, დაფენილი თავიდან ბოლომდე ბატის ფრთის მსგავსი საყენ-ნახევრიანი სიგრძის მწვანე ფოთლებით, საიდანაც დამატყვევებელი მშვენიერებით გამოიყურებიან სუნელებითა უხვად მფრქვევი ყვავილები, რომლებიც ბოლოს უნდა გახდნენ ტკბილ ნაყოფად და გამოკრულნი ოქროს ფერ პარკებში, იწყებენ ბზინვას ხსენებული ხე — სურათის მწვანე ფოთოლთა მდიდარ ხვევრდზე ვით საქორწინო გვირგვინის ტოტი — აი საზოგადო და დაახლოვებითი სურათი ფინიკის ხისა, თუ ყველა ამას კიდევ ზედ დაუმატეთ ამ ხისავე ქვეშ აუცილებლად ამომდინარე ბროლისავით სუფთა და კამკამა წყლის ნაკადულსაც.

ახლა წარმოიდგინეთ მეორე, წარჩინებული

სუნელოვანების წებოთი გაყენილი, თვალ-შეუწვდენელი სიმაღლის მცენარე, რომელსაც თექვსმეტი საყენის სიშორეზე უღარდელად გადუსროლია ოთხივ მხრივ მოხდენილი სამხეურევით ხშირი ფურცლებით დაბურული ტოტები და ამომჯდარა მიწიდან იმხელა სისქის ღეროთი, რომ ექვსი კაცის ხელს გაუძნელდება მისი შემოწდომა — და თქვენ დაგებატებათ სურათი ლიბანის ნაძვისა.

აი ამ ბუნების სოცნებო სამკაულთ ადარებს ღვთივ-განბრძნობილი წინასწარმეტყველი მეფე დავითი მართალს, წმინდა, ღვთის სათნო, ცხონებულ კაცს, როდესაც დასწერს — მართალი ვითარცა ფინიკი აღყვავნეს, და ვითარცა ნაძვი ლიბანისა განზრავლდეს.

მოყვანილი დასურათების შემდეგ ადვილი მისახვედრი უნდა იქნეს ჩვენთვის, ძმანო ქრისტიანენო, ფინიკისა ჭ ლიბანის ნაძვის დიდი მნიშვნელობა ფრინველებისათვის. კითხვა არ უნდა, რომ ეს ხეები მეტად სასურველი, მეტად მიმზიდველი, მეტად საიმედო თავშესაფარად, უტყუარ მოსასვენად და სანატრელ სავანედ ექნებოდათ მიმჩნეული ფრინველებს. ცხადია, რომ ამ ხეებს მიაშურებდა, უეჭველად, სიცხისა და პაპანაქებისაგან შეწუხებული ფრინველი, აქ, ამ ხეების ხშირი ფოთლების საბან ქვეშ შეფარებულს გადუვარდებოდა გულიდან დარდი შიმშილისა და მტრისა, ქარისა და სეტყვა-ავდრისა და სხ. და სხ.

მაგრამ განა აქ, ჩვენს ახლო, ჩვენს გარემოში არაფერს ვამჩნევთ, არაფერს ვხედავთ ისეთს, რომ გვაგონებდეს სწორეთ ამ ფრინველთა მიმზიდველი მცენარეების დიდებულ სურათს? განა ამ წმიდა უდაბნოს დღევანდელი მდგომარეობა ერთობ საგულისხმო და ჩასაფიქრებელი არ არის ამ მხრივ? განა წმიდათა მოწამეთა დავით და კონსტანტინეს საფლავი იმგვარივე ძვირფას და სანატრელ თავ-შესაფარად არ მიაჩნიათ მორწმუნეთა, როგორც აყვავებული ფინიკი და ფართოდ გაშლილი ლიბანის ნაძვი გარეულ ფრინველებს? აბა, ბძანეთ მაშ რა ძალას შეუკრებია ეს ერი? რისგამო დაუტოვებია ქალსა და ვაჟს თავისი საცხოვრებელი ბინა და მოუტანებია ამ სავანესთვის?

პასუხი ყველასათვის ცხადი და მისახვედრია: ქრისტიანენი მოსულან დღეს ამ წმიდა ალაგს სწორეთ იმ აზრით და იმის გამო, რა აზრით და რის

გამოც ეტანებიან ფრინველები ფინიქსა ღ ლიბანის ნაძეს. უსამართლოდ დევნილნი, ძალ-მომრეობით დაჩაგრულნი, სიღარიბით შეწუხებულნი, სნეულები-სგან დაუძღურებულნი, სიკვდილისაგან გულდაკო-დილნი, ცოდვათა გამო სასოწარკვეთილების უფსკ-რულამდე მისულნი, სივინდისიგან მწარედ დასჯილნი — აი ვინ შეჰმოკრებიან დღეს დავით და კოსტანტინეს უხრწნელ გვამთა აზრდის და მტკიცედ სასოებენ, რომ აქ, ამ წმიდა ჩეროში იგინი იპოვიან სულიერ მოსვენებას, განიკურნებიან ხორციელი და სულიერ სნეულებისაგან, ჩამოიხსნიან ცოდვათა მძიმე ტვირთს, გაიღვებენ ღ გაითბობენ გულს მოყვასთა სიბრალულისა და სიყვარულისათვის, მოაკვდინებენ ამპარტავნებას, შეიმოსენ სიმდაბლეს, მოიძიებენ სულიერ მხნეობას და შეირიგებენ გარისხულ სვინი-დისს. აი რა აზრს შეუტრეობია ეს ერი; აი რის შე-შაძენად, რის მოსაპოვებლად, რის მისაღწევად მო-სულა დღეს ქალი და კაცი ამ წმიდა საფანეს!

ღიად, ეს ყველა წმიდა და საღმრთო აზრია, მეტად ხელსაყრელი და საქებარი მიზანია, მხოლოდ საქირთა ვიცოდეთ, აღწევს ამ მიზანს, ისრულებს თუ არა, აქ მოსვლით კაცი ამ სასიქადულო გულის წადილსო: იკითხავს ვინმე თქვენგანი. მაგრამ განა შეიძლება ამ შემთხვევაში რყევა და ეჭვიანობა! კარგად ჩააკვირდი, ძმაო, მლოცველთა ღმობიერებით. აღვსილი სახის გამომეტყველებას, მიაქციე ყურად-ღება რაზომი სასოებით და გულდაჯერებით მიუ-პყრიათ მათ თვალი წმინდანების გვამათვის, და ყველაფერი ცხადი გახდება შენთვის, ყოველი ეჭვი გაგშორდება გულიდან და სცნობ, რომ არა რა ქვეყნიურს ძალას, გარნა ღვთის მადლისა არ ძალუქს მიანიქოს ამ ტანჯულთ და წამებულთ ის სულიერი შვება და სიხარული, ის ნუგეში და გამხნეება, ის ღმობიერება და კმაყოფილება, რომელსაც ასე ცხა-დად და ნამდვილად გრძნობს აქ თვითეული მათგანი, რომელსაც თავისუფლად ეწაფება აქ დიდი და პატარა. რომელიც მაცოცხლებელ მზის სხივად ეფინება მათ გულს, გამკურნავ და გამამთელებელ საღებუნად ჰხედება მათ სულისა და გულის ღრმე იარა ჭრილობა-თა.

ოჰ, რა მადლი და კურთხევა ღვთისა დატრი-ალდებოდა ჩვენშორის, რა გასახარელი და სანატრე-ლი შეიქნებოდა ჩვენი ცხოვრება, რომ მტკიცედ, წაუშლელიად და ამოუფხვრელიად ვიბეჭდავდეთ გუ-

ლის ფიცარზე იმ მაღალ და ღვთის სათნო მიდრე-კილებას, რომლითაც ამ წამს გამსჭვალულია თვი-თეული ჩვენგანი! რა სასურველსა და სანატრელ სახეს მიიღებდა ეს ჩვენი დღევანდელი ერთი-ერთმა-ნეთის სამტროდ, ერთი-ერთმანერთის დასაჩაგვრელად და გასანადგურებელად გამოწყობილი, ბოროტებაზე და უსამართლოებაზე — აშენებული ცხოვრება, რომ სიმაართლის შეძენისა, წმიდათა დავით და კოსტან-ტინეს ცხოვრების კვალზედ დადგომისა და მათ მოქმედებათა მიბაძვის საღმრთო სურვილს, რომელიც ამ წამს დიდად გვწყურია ყველას, ვიქცევდეთ სუ-ლის მიუცილებელ მოთხოვნილებად, მუდამ ამ კეთილ აზრს ვადგეთ, ყოველ ჩვენ სიტყვას, ყოველ საქმეს მისდა კვალად, მისდა შესაფერად ვარიგებდეთ! მაშინ დედა-მიწა იმზომად აღარ იქნებოდა დამძიმებული ჩვენი უსამართლოებით და ბოროტებით, მაშინ კა-ცთა შორის გამეფდებოდა სასურველი სათნოება, მაშინ ქვეყანა გახდებოდა წმინდათა საბძანებელად, მაშინ ყველა დარწმუნდებოდა და ყველა მეფე და-ვითთან ერთად ხმა მაღლად აღიარებდა: მართალი ვითარცა ფინიკი აღევანეს, და ვითარცა ნაძვი ლიბანისა განმრავლდეს.

უნლა?! დიდხანს შეგვრჩება ღმობიერებ, რომ-ლითაც ამ წამს მომბალი გვაქვს ყველას გული? არ უღალატებთ, არ მივიფიწყებთ სიჩქარით იმ წმინდა ცხოვრების სურათს, რომელსაც ამ წამში ვგრძნობთ ყველანი? წმიდათა დავით და კოსტანტინეს მეოხე-ბით მიღებულ ღვთის მადლსა და კურთხევას გაუ-ფრთხილდებით როგორც ძვირფას საუნჯეს და არ შეურაცხვეყოფთ მას უშვერი სიტყვით და საქმით, არ დავკარგავთ მას გზაშივე ჩვეულებრივი დაუღვე-რობისა და უდები ცხოვრებისადმი მიზიდულობის გამო?..

მაგრამ ნუ, ნუ გამოუდგებით ამ კითხვების ძიება-გამოკვლევას, ნუ გავიმწარებთ სადღესასწაუ-ლო გუნებას. უმჯობესია სულით და გულით მივ-მართოთ ჩვენს მფარველებს, ჩვენს მეოხთ, ჩვენს ანგელოზებს, ჩვენს პატრონებს, ჩვენს ზეციურ გვი-რგვინთ წ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს და გულ-მოდგინეთ შევსთხოვით: ღვაწლით მოსიღწო-დიდნო მოწამენო დავით და კონსტანტინე, ნუ მოიხსენებთ შეგვინდეთ და მოგვიტევთ ყოველნი შეცოდებანი, უსჯულოებანი და ბრალნი ჩვენნი, რომლითაცა განგარისხეთ და გაგამწარეთ წარსულსა



წელსა. ნუ მოგვიძულებთ, ნუ მოგვიშლით და ნუ მოგვაკლებთ ზვენი უღირსთა მამობასა, პატრონობასა და მფარველობას თქვენსა; გამოგვიხოვეთ ჩვენთვის ჯგერცმულისაგან სიმრთელე და დღეგრძელობა, მშვიდობა და მყუდროება, სიუხვე საზრდელისა და ჰაერთა კეთილ-შეზავება, სიყვარული მიუღრეკელი ღვთისა და მოყვისსადმი, ძღვევა ბოროტთა ზედა გულის თქმათა ჩვენთა და განწყობა ცხოვრებისა ჩვენისა სათნოდ და სადიდებელად ღვთისა. სასიკეთლოდ და საქებულად თქვენდა, სასიხარულოდ და სანუგეშოდ ეკლესიისა. ამინ.

უმისკობასი ლეონიდი.

**ყველას საქუხადღებოდ.**

ძლიერ სამწუხაროდ მიგვაწინა, რომ ეხლანდელ დროში იშვიათად შეხედებით წიგნთსაცავეს, რომელნიც საკომისიოდ მიღებული წიგნების ანგარიშს იძლეოდენ რიგიანად. ხშირად წიგნების გამომცემლები 20% და 30% უთმობენ თითო მანეთზე, მაგრამ ზოგიერთებისაგან გასყიდული წიგნების ფა-

სიდან სულაც ვეღარას იღებენ. საჩივრის გამართვა ამისთანა წიგნთსაცავეების პატრონებთან მოუხერხებელია ხოლმე. გვიკვირს, რომ წიგნების მყიდველები თვითონ ავტორების და გამომცემლებისაგან არ იბარებენ წიგნებს, როცა მათ ერთად ათი და მეტი ცალი სურსთ მოიპოვონ. გამომცემლები მათ დაუკლებენ თითო მანეთზე 20% და ნუ თუ ეს მათთვის სასარგებლო არ არის? ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ ვინც პირდაპირ ჩვენიდან გამოიწერს წიგნებს არა ნაკლებ ერთი ათი ცალისა ან ათი მანეთისა ყოველთვის 20 პროც. დაეუთმობა მანეთზე და თუ რკინის გზით შეიძლება გაგზავნა მაშინ გასაგზავნსაც არ იხდიან. —უფასოდ გავგზავნებთ.

ამასთან ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ ჩვენი გამომცემები ყველას შეუძლია მოიპოვონ ქუთაისში წიგნის მკაზმელ მეიერ შინოვიჩთან, რომლის სახელლოსნო არის დიდი გიმნაზიის პირდაპირ; თფილისში წერა კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნთსაცავში; ყვირილაში ვაჭარ იორდანე ცერცვაძის მალაზიაში და ჟურნალის, მწყემსის რედაქციაში და სტამბაში.

ქუთათურ ხელის მომწერლებს ჟურნალები შეუძლიათ მიიღონ ზემოხსენებულ მეიერ შინოვიჩიდან და აქვე ყველას შეუძლია მიღება ყოველ გვარ მოწამბათა ბლანკთა და ჟურნალთა.

ჩვენ რედაქციაში დღეს იმეკონება აგრეთვე ზოგიერთების თხოვნისამებრ სლავიანურ ენაზე პატარა ტანის ტრაპეზის სახარებანი, „მოღებნის“ წიგნები, ჟღერები და დავითნები.

**რედ. დეკ. დ. ლამბაშიძე.**

**შ ი ნ ა ა რ ს ი:**

**სალიტერატურო განყოფილება:** რედქციისაგან, დეკ. დ. ლამბაშიძისა. — ჩვენი სამღვდლოების საჭიროება. — მღვ. ვლადიმირ მაჭარაშვილის წერილისა-გამო, მღ. ს. ჭუმბურიძის. — მიზეზები კაცის მრავალ უბედურებათა, (თარგ.) ნ. კ. — ელევია (ლექსი) როსტომ — გუძასი. — მოწყენილის გოდება და იმედის, (ლექსი) იმისივე. — დიმიტრი ნადირაძის (მანხანელის) დასაფლავება. — ს. ვ. კერსკი, (ნეკროლოგი) დეკ. დ. ლამბაშიძისა. — ახალი ამბები და შენიშვნები — ჟურნალ-გაზეთებიდან.

**სწავლად და მცენიარება პრისტინონობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-წინაგაზომს:** სიტყვა, წმიდათა დიდთა მოწამეთა არგვეთის მთავართა დავით და კონსტანტინეს დღეს, ეპის. ლეონიდის.

— ყველას საყურადღებოდ.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою Архимандритъ Георгій 31 октября 1903 г.

Типог. редакцій журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.